EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

OECD
BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNECE

UNEP

UNIDO

საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო

SEA

GEO
Georgia's Environmental Outlook

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

სგშ-ს განხორციელების რეკომენდაციები/სახელმძღვანელო ეფუძნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექს“

სგშ-ს განხორციელების რეკომენდაციები/სახელმძღვანელო მოამზადა ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ნანა ბარამიძე, მარტინ სმუტნი, ირმა მელიქიშვილი და ერჟი ენდროშკა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ექსპერტებისაგან: თამარ შარაშიძე, ნინო თანდილაშვილი, მაია ბერაძე, ანა დოლიძე დამარიამ ბერუაშვილიშემდგარი ეროვნული სამუშაო ჯგუფის დახმარებით.

რეკომენდაციები შემუშავდა საქართველოში სგშ-ს ეფექტიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე. დოკუმენტი მომზადდა ,,მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში" (EaP GREEN) პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ეხმარება სგშ-ს პრაქტიკაში განხორციელების ეროვნული სახელმძღვანელოს შემუშავებაში EaP GREEN პროგრამა ხორციელდება ერთობლივად შემდეგი ოთხი პარტნიორი ორგანიზაციის მიერ: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE) და გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), ევროკავშირისა და სხვა დონორების ფინანსური დახმარებით.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტექნიკური დახმარებით ევროკომისიის დაფინანსებით მიმდინარე ,,მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში" (EaP GREEN) პროგრამის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და მისი პარტიორი ორგანიზაციების ან ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ანგარიშზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)

კონვენცია ტრანსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ

ეროვნებათა სასახლე CH-1211 ჟენევა 10 შვეიცარია

ტელ.: +41 22 917 1723

ელ.ფოსტა: eia.conv@unece.org

შინაარსი

01 **შესავალი** 5

1.1 სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება

02 **ზოგადი ინფორმაცია სგშ-ს შესახებ** 6

2.1 რა არის სგშ - ამოცანები, მოკლე ისტორია, სარგებელი და ხარჯები

2.2 სგშ-ს საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო

2.3 კავშირი სგშ-სა და გზშ-ს შორის

03 **სგშ-ს პრაქტიკული განხორციელება** 23

3.1 სგშ-ს ძირითადი მოქმედი პირები, მათი როლები და პასუხისმგებლობები

3.2 სგშ-ს პროცესის მიმოხილვა

3.3 სგშ-ს მოქმედების ფარგლები

04 **სგშ-ს პროცედურული და ანალიტიკური ეტაპები** 26

4.1 სკრინინგი

4.2 სკოპინგი

4.3 სგშ-ს ანგარიში

4.4 სგშ-ს ანგარიშის განხილვა

4.5 სგშ-ის ანგარიშზე და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების გაცემა

05 **სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება** 27

5.1 რეკომენდირებული მიდგომა

06 **მონიტორინგი** 30

6.1 პრაქტიკული რჩევები

07 **საზოგადოების მონაწილეობა** 31

7.1 პრაქტიკული რჩევები

08 **გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა** 36

8.1 პრაქტიკული რჩევები

09 **სგშ-ს ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული რჩევები** 41

10 **დანართები** 64

01 შესავალი

1.1 სახელმძღვანელოს მიზანი და დანიშნულება

საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პრაქტიკაში განხორციელების რეკომენდაციების/სახელმძღვანელოს (შემდგომში სგშ-ს რეკომენდაციები) მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის განხორციელებას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად. მისი მიზანია, განსაზღვროს სგშ-ს პროცესების მთავარი მონაწილე პირების, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო), დამგეგმავი ორგანოების, საზოგადოების, სგშ-ს კონსულტანტებისა და გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოების როლები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია სგშ-ს ცალკეული ეტაპების განხორციელების პრაქტიკული საშუალებები სახელმძღვანელო კითხვები ხარისხის კონტროლისათვის და სხვ.

02 რა არის სგშ – ამოცანები, მოკლე ისტორია, სარგებელი და ხარჯები

2.1 რა არის სგშ

სგშ წარმოადგენს სტრატეგიულიდაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ძირითად ინსტრუმენტს. სგშ ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრებას და ამით წვლილი შეაქვს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისაკენ მიმართულ ძალისხმევაში. სგშ უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის1 მომზადების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი საქმიანობების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი შედეგების შესწავლა და გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე, გადაწყვეტილების მიღებამდე; და აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და საზოგადოებასთან საჭირო კონსულტაციების ჩატარება.

შედეგად, სგშ ზრდის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ხარისხს და მათ შედეგებს. ის ხელს უწყობს საკვანძო სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას და სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანად განხორციელებას, რადგან ამ დოკუმენტებში - სგშ-ს სათანადოდ ჩატარების გზით - უკვე გათვალისწინებულია შესაძლო ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ისევე, როგორც დაინტერესებული მხარეების, მათ შორის გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სტრუქტურებისა და საზოგადოების მოსაზრებები.

---

1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თავი I-ის, მუხლი 3-ის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული/დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატული აქტი, რომელიც ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს ცალკეული სექტორებისათვის "გარემოსდაცავითი შეფასების კოდექსის" თავი III-ს შესაბამისად და შეიცავს განსახორციელებელი საქმიანობების/პროექტების მახასიათებლებს ან/და მოცულობებს.

სგშ-ს სარგებელი

სგშ-ს სათანადოდ განხორციელებას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებისთვის რიგი სარგებლის მოტანა შეუძლია. მათ შორის[2]:

- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა: სგშ-მ უნდა უზრუნველყოს შეუქცევადი და უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, დაცული ტერიტორიებისა და ბუნების დაცვა, კრიტიკული საბინადრო ადგილებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის მნიშვნელოვანი სხვა ადგილების შენარჩუნება, ისევე, როგორც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება ან თავიდან აცილება.

- დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესება: სგშ-ს აქვს შესაძლებლობა, გააუმჯობესოს ან აამაღლოს სტრატეგიული დოკუმენტის ხარისხი, რაც უკეთეს შედეგებში აისახება. სგშ ამას სხვადასხვა გზებით აღწევს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ სგშ ხელს უწყობს იმას, რომ პროცესი იყოს მიზანმიმართული, საფუძვლიანი და ღია სხვადასხვა ალტერნატივებისათვის და ითვალისწინებდეს შესაძლო ზემოქმედებების სრულ სპექტრს და შესაძლებლობებს განვითარების უფრო მდგრადი ფორმების მისაღწევად.

- განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა: სგშ ხელს უწყობს სტრატეგიულ დოკუმენტებში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების სათანადოდ გათვალისწინებას. აგრეთვე, სგშ უზრუნველყოფს ალტერნატივების განხილვას და მხარს უჭერს ისეთი საყოველთაოდ სასარგებლო ვარიანტების ძიებას, რომლებიც იძლევიან განვითარების ახალ შესაძლებლობებს ეკოსისტემების ეკოლოგიური ტევადობის ფარგლებში. შესაბამისად, სგშ გადაწყვეტილების მიღების პროცესს რეალურად მდგრადი განვითარებისაკენ მიმართავს.

- ხელს უწყობს ძვირადღირებული შეცდომების თავიდან აცილებას: სგშ იძლევა ადრეულ გაფრთხილებას განვითარების ისეთი ვარიანტების შემთხვევაში, რომელიც არამდგრადია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. სგშ-ს სათანადოდ განხორციელება ამცირებს აცილებადი ზიანის გამოსწორების ისეთი ძვირადღირებული ღონისძიებების აუცილებლობას, როგორიცაა ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლა და ხელახალი დაპროექტება ან ადამიანების განსახლება. სგშ ასევე ხელს უწყობს ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვას სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების დროს არამდგრადი ვარიანტების ადრეულ ეტაპზე გამორიცხვის საშუალებით.

- აძლიერებს მმართველობას: სგშ ამაღლებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობის დონეს და იძლევა ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინების შესაძლებლობას დაგეგმვის პროცესის ადრეულ ეტაპებზე. სგშ-ს სათანადოდ განხორციელებული და პასუხისმგებლიანი პროცესი ზრდის სტრატეგიული დოკუმენტების სანდოობას. აღნიშნულ პროცესს შეუძლია საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისათვის - სტრატეგიული დოკუმენტი ბევრად უფრო ეფექტიანია, როდესაც საზოგადოების ღირებულებები, მოსაზრებები, შეხედულებები და ცოდნა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა: სგშ-ს შეუძლია შექმნას სივრცე რეგიონული თანამშრომლობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასა-

2. საინფორმაციო ფურცელი „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სარგებლის“ შესახებ, (რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2003 წ.).

ჭრელად, რომლებიც ეხება, მაგალითად, საერთო დაცულ ტერიტორიებს, მდინარეებს, სატრანსპორტო ხაზებს და ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას და ა.შ.

კონკრეტული მაგალითი: მუნიციპალური გენერალური გეგმის სგშ (მოლდოვა)

ორჰეის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის სგშ დაეხმარა გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს მთავარი გარემოსდაცვითი პრობლემების იდენტიფიცირებაში, ახალი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოპოვებასა და ისეთი რუკების მომზადებაში, რომლებშიც ბიზნესთან დაკავშირებულ მონაცემებსა და პროექტების განხორციელების შესაძლებლობებთან ერთად ასახულია ბუნებრივი ძეგლების ადგილმდებარეობა და საზღვრები, მდინარეთა აუზები და ბუნების დაცვის ზონები, ასევე ჰაერისა და წყლის დაბინძურების მონაცემები. ამ ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა გენერალური გეგმის ის ნაწილი, რომელიც ეძღვნებოდა გარემოს დაცვას. გეგმის შემქმნელებს სგშ ასევე დაეხმარა ნარჩენების მართვის და ნარჩენების შეგროვების სათანადო სქემების შემოღების აუცილებლობის დასაბუთებაში და დაადგინა ის ადგილები, სადაც არ უნდა განთავსებულიყო ნარჩენების მართვის ობიექტები. სგშ-ს ანგარიშის საფუძველზე, ორჰეის მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმართოს მთავრობასა და დონორებს ქალაქში ნარჩენების მართვის სქემების ასამუშავებლად საჭირო სახსრების გამოყოფის თხოვნით. სგშ-ს პროცესში აღმოჩენილი მონაცემების ნაკლებობა გახდა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების სქემების გაუმჯობესების საფუძველი. მაგალითად, სგშ-ს შემდეგ ხელმისაწვდომი გახდა მონაცემები მიმდებარე ურბანულ ტერიტორიებზე ქვის კარიერების მუშაობით გამოწვეული ხმაურის დონისა და ზემოქმედების შესახებ[3].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სგშ-ს ეფექტიანი სისტემა ქვეყნისთვის ნიშნავს უფრო ძლიერ გარემოსდაცვით და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკასა და შემცირებულ ხარჯებს ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში. ხანგრძლივ ვადებში სგშ-ს სრულყოფილი პრაქტიკა მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს იძლევა - მისი საშუალებით შესაძლებელია იმ ბუნებრივი რესურსების დაცვა დაგრადაციისაგან, რომლებიც მნიშვნელოვანია წამყვანი ეკონომიკური დარგებისათვის (მაგ. სგშ-ს საშუალებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობისათვის საჭირო წყლის რესურსების არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილება).

სგშ-თან დაკავშირებული ხარჯები

სგშ-ს სათანადოდ ჩასატარებლად საჭიროა გარკვეული კვლევების ჩატარება, კონსულტაციების ორგანიზება, სკოპინგისა და სგშ-ს ანგარიშების მომზადება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ს ჩასატარებლად ფინანსური რესურსები აუცილებელია.

სგშ-ს ფინანსური ხარჯები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტის ხასიათსა და დეტალიზაციის დონეზე, შეფასებული ალტერნატივების რაოდენობაზე, საზოგადოების ჩართულობის ფარგლებზე, კონსულტაციების პროცესის მასშტაბზე, და სხვ.

3. წყარო: EaP GREEN წყარო: EaP GREEN

2.2 სგშ-ს საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო

გარემოსდაცვითი შეფასება, როგორიც ის დღეს არის, სათავეს იღებს აშშ-დან, სადაც 1969 წელს დამტკიცებული „აშშ-ს ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის აქტით“ (NEPA) განისაზღვრა მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ყველა ის დიდმასშტაბიანი ფედერალური საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, გარემოსდაცვით შეფასებას ექვემდებარება. მოგვიანებით 1985 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა მიიღო ევროპის საბჭოს დირექტივა 85/337/EEC გარკვეული საჯარო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (ე.წ. გზშ-ს დირექტივა), რომელმაც დაადგინა გარემოსდაცვითი შეფასების გარკვეული სტანდარტები ევროპის მასშტაბით. ხოლო 2001 წლის 27 ივნისს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ მიიღეს დირექტივა 2001/42/EC „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგშ-ს დირექტივა), რამაც გზა გაუხსნა ფართო მოლაპარაკებებს, რომლებიც, თავის მხრივ, დასრულდა 2003 წელს კიევში ესპოს კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის (სგშ-ს ოქმი) მიღებით.

საქართველომ ოქმს სგშ-ს შესახებ ხელი მოაწერა, თუმცა მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია. საქართველო არის „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში, მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” (ორჰუსის კონვენცია) კონვენციის მხარე.

აღნიშნული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამდივნოსა და ევროკავშირითან ერთად დაიწყო გზშ-სა და სგშ-ს პროცედურების ეროვნული სისტემის შემუშავება კონვენციისა და ოქმის დებულებების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაო მოიცავს ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზებული გზშ-სა და სგშ-ს შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადებას. შესაბამისად შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პრაქტიკაში განხორციელების რეკომენდაციების სახელმძღვანელოს“ საფუძველს.

2.3 კავშირი სგშ-სა და გზშ-ს შორის

სგშ და გზშ გარემოსდაცვითი შეფასების ფორმებია - ორივე წარმოადგენს პრევენციული გარემოსდაცვითი პოლიტიკის პროცედურულ ინსტრუმენტს და, შესაბამისად, აქვთ მსგავსი მიზნები და რიგი ერთნაირი თვისებებისა, განსაკუთრებით პროცედურული ელემენტების ნაწილში. ორივე ინსტრუმენტმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის საფუძვლის შექმნა, რაც ნიშნავს იმას, რომ სგშ/გზშ-ს შედეგები და დასკვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს, შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისა და პროექტებისა თუ კონკრეტული საქმიანობების დამტკიცების დროს. აქედან გამომდინარეობს, რომ ორივე - სგშ და გზშ უნდა ჩატარდეს გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუმცა, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რაც ძირითადად გულისხმობს განსხვავებას სგშ-სა და გზშ-ს დაქვემდებარებული საქმიანობების სახეობებსა და შეფასების მასშტაბებს შორის.

 გზშ ტარდება კონკრეტული საქმიანობებისათვის, ანუ საქმიანობის განმახორციელებლების (კერძო თუ საჯარო) მიერ დაგეგმილი ისეთი კონკრეტული პროექტებისათვის, რო-

გორიცაა, მაგალითად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ელექტროსადგურების ან კაშხლების მშენებლობა, სამთო-მოპოვებითი საქმიანობა, და სხვ., რომელთა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას კომპეტენტური ადმინისტრაციული უწყება იღებს. ხოლო სგშ ხორციელდება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, როგორიცაა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მომზადებული გეგმები, პროგრამები ან სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები (მაგ., ეროვნული სატრანსპორტო გეგმა, ნარჩენების მართვის რეგიონული პროგრამა, ადგილობრივი სივრცითი მოწყობის გეგმა).

გარდა ამისა, გზშ საკუთარ შეფასებაში ყურადღებას ამახვილებს ძირითადად იმაზე, თუ როგორი ფიზიკური ზემოქმედება ექნება პროექტის განხორციელებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მაშინ, როდესაც, სგშ, სტრატეგიული დოკუმენტის ხასიათის გათვალისწინებით, მას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს, კერძოდ, აფასებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებზე, მის მოსალოდელ გავლენას ხანგრძლივვადიან ტენდენციებზე, სტრატეგიული დოკუმენტის კუმულაციურ ზემოქმედებას, და სხვ.

გზშ-სა და სგშ-ს შორის არსებული აღნიშნული განსხვავებები განაპირობებს მცირე განსხვავებას მათი პროცედურებისა და მოსამზადებელი დოკუმენტაციის (ანგარიშები) მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს შორის. განსხვავებულია კომპეტენტური ადმინისტრაციული უწყების როლიც.

სგშ-სა და გზშ-ს შორის კავშირებზე საუბრის დროს, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმას, რომ სგშ „არ აყენებს ზიანს“ [4] გზშ-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სგშ დაადგენს, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებული საქმიანობები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებებს გარემოსა ან ჯანმრთელობაზე, გზშ-ს მაინც შეუძლია მათი გამოვლენა (და პირიქით).

საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს პირდაპირ პროცედურულ კავშირებს სგშ-სა და გზშ-ს შორის. ამიტომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, სგშ და გზშ უნდა განვიხილოთ, როგორც ორი დამოუკიდებელი პროცედურა. ეს ნიშნავს იმას, რომ სგშ-ს ჩატარება გარკვეული სტრატეგიული დოკუმენტებისათვის არ ათავისუფლებს სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განსახორციელებელ კონკრეტულ პროექტებს გზშ-ს ჩატარების ვალდებულებისაგან (იმ შემთხვევაში, თუ ეს პროექტები ექვემდებარებიან გზშ-ს).

მეორე მხრივ, სგშ-ს შეუძლია იმ რეკომენდაციების ან პირობების ჩამოყალიბება, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული პროექტების გზშ-ში. აქედან გამომდინარე, სგშ-ს შეუძლია ხელი შეუწყოს პროექტის შემუშავებასა და პროექტის დონეზე გზშ-ს ჩატარებას.

---

4. სგშ-ს დირექტივა, მუხლი 11, პარაგრაფი 1: ამ დირექტივით ჩატარებული გარემოსდაცვითი შეფასება არ უნდა აყენებდეს ზიანს 85/337/EEC დირექტივისა და ევროკავშირის სხვა კანონების მოთხოვნებს.

03 სგშ-ს პრაქტიკული განხორციელება

3.1 სგშ-ს ძირითადი მოქმედი პირები, მათი როლები და პასუხისმგებლობები

1. **დამგეგმავი ორგანო** განმარტებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში". დამგეგმავი ორგანო არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაზე, დასამტკიცებლად მის წარდგენაზე და/ან განხორციელებაზე. დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტისათვის (რომლისთვისაც სგშ სავალდებულოა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად) სგშ-ს ჩატარებას, პასუხისმგემებლია მის ხარისხზე და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე[5].

2. **სამინისტრო** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქვს წამყვანი როლი სგშ-ს პროცესის ადმინისტრირებასა და სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ს ანგარიშზე კომენტარების მომზადებაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად (ჯანდაცვის სამინისტრო).

3. **საექსპერტო კომისია,** საკონსულტაციო ორგანო სგშ-ს ანგარიშის პროექტზე საექსპერტო დასკვნების მოსამზადებლად, იქმნება სგშ-ს ბოლო ეტაპზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ.

4. **გადაწყვეტილების მიმღები ორგანო** არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მიღებაზე ან დამტკიცებაზე შესაბამისი კანონმდებლობის და ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით. გადაწყვეტილების მიმღები ორგანო შეიძლება იყოს მთავრობა ან პარლამენტი, სამინისტროები, ხელისუფლების რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები, თვითმმართველობის ორგანოები, აჭარის მთავრობა, აჭარის თვითმმართველობის ორგანოები, დამგეგმავი ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების უფლებამოსილება. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ვალდებულნი არიან გადაწყვეტილებების მიღების დროს გაითვალისწინონ სგშ-ს მიგნებები და დასკვნები[6].

---

5. როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ასევე შრომის, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიძლება იყოს დამგეგმავი ორგანო. მათ შეუძლიათ სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ინიცირება და მომზადება.

6. დამგეგმავი ორგანო, იმავდროულად, შეიძლება იყოს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოც.

5. **საზოგადოება** – „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საზოგადოება არის ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე მათი გაერთიანებები, ორგანიზაციები ან ჯგუფები. საზოგადოებას უნდა ჰქოდეს შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე, დროულად და ეფექტიანად ჩაერთოს სგშ-ს პროცესში, ხოლო მათი შენიშვნები სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ში.

6. **სხვა დაინტერესებული მხარეები** წარმოადგენენ ისეთ სპეციფიკურ ჯგუფებს, როგორიცაა სამეცნიერო ინსტიტუტები, სამინისტროები, როდესაც ისინი არ წარმოადგენენ დამგეგმავ ორგანოს, დაინტერესებული მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოები, და სხვ., რომლებიც დაინტერესებული არიან სტრატეგული დოკუმენტით, ან ექცევიან მისი ზემოქმედების ქვეშ. ისინი მონაწილეობენ საჯარო განხილვებში, როგორც დაინტერესებული მხარეები და აქვთ უფლება წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები სგშ-ს პროცესის მიმდინარეობის დროს.

7. **კონსულტანტი** - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, პირი, რომელსაც აქვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან სტრატეგიული გარემოსდაცითი შეფასების ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვალიფიკაცია, სამეცნიერო, ტექნიკური და მეთოდური შესაძლებლობები. ინდივიდუალური კონსულტანტი და/ან საკონსულტაციო კომპანია შესაძლებელია დაქირავებულ იქნეს სკოპინგის ანგარიშისა და სგშ-ს ანგარიშის მომზადების მიზნით.

8. **უცხო ქვეყანა** ერთვება სგშ-ს პროცესში იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ სტრატეგიულ დოკუმენტს შეიძლება ჰქოდეს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

3.2 სგშ–ს პროცესის მიმოხილვა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების ანალიზის პროცესს, რომლის მიზანია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების, დამტკიცების და განხორციელების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სათანადოდ გათვალისწინება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სგშ-ს პროცესი მოიცავს სკოპინგს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის (სგშ-ს ანგარიში) მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფასა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების ჩატარებას და მათი შედეგების საფუძველზე დასკვნების გაკეთებას, ამ და სხვა ინფორმაციის გათვალისწინებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების დროს[7].

7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 21.

სკრინინგი

- დამგეგმავი ორგანოს მიერ სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროში სკრინინგის ფორმისა და განცხადების წარდგენა
- სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სგშ-ს საჭიროების დადგენა
- საზოგადოების ინფორმირება სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ დამგეგმავი ორგანოს, სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ

სგშ არ არის საჭირო

სგშ საჭიროა

სგშ-ს პროცესის ძირითადი ეტაპები

სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს საჭიროებს (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად)

სკოპინგი

- დამგეგმავი ორგანოს მიერ სკოპინგის ანგარიშის მომზადება
- დამგეგმავი ორგანოს მიერ სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროში სკოპინგის განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების წარდგენა
- სკოპინგის განცხადებისა და მასზე თანდართული გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება
- საზოგადოება უგზავნის კომენტარებს სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს
- სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემა
- სკოპინგის დასკვნის გამოქვეყნება

სგშ-ს ანგარიშის მომზადება

- დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ს სამუშაო ვერსიის მომზადება
- სგშ-ს სამუშაო ვერსიის წარდგენა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროში

საზოგადოების მონაწილეობა

- სგშ-ს სამუშაო ვერსიის გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება
- სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის და სგშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობა (დამგეგმავი ორგანოს მიერ)

სგშ-ს ანგარიშის შეფასება

- საექსპერტო კომისიის შექმნა სამინისტროს მიერ
- სგშ-ს ანგარიშის განხილვა და შეფასება
- საექსპერტო კომისიის დასკვნის მომზადება

სგშ-ს რეკომენდაციების გაცემა

- სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ

მონიტორინგი

- უნდა უზრუნველყოს სამინისტრომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში

სამინისტრო - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სამინისტრო - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დიაგრამა 1: სგშ-ს პროცესის ძირითადი ეტაპები

3.3 სგშ-ს მოქმედების ფარგლები

სგშ უტარდება „სტრატეგიულ დოკუმენტებს“. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული/დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს სამომავლო განვითარების ჩარჩოს ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული სექტორებისათვის და შეიცავს განსახორციელებელი საქმიანობების/პროექტების მახასიათებლებს ან/და მოცულობებს[8]. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდების საფუძველზე არ განისაზღვრება, ექვემდებარება თუ არა დოკუმენტი სგშ-ს. ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, მიუხედავად სახელწოდებისა (მაგ., სტრატეგია, კონცეფცია, და სხვ.) ექვემდებარება სგშ-ს, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს.

საქართველოში ბევრი სხვადასხვა სახის სტრატეგიული დოკუმენტი არსებობს. თუმცა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის თანახმად, სგშ უტარდებათ ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებიც ადგენენ სამომავლო განვითარების ჩარჩოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“I და II დანართშიგანსაზღვრული საქმიანობებისათვის (რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს) და მომზადებულია შემდეგ სექტორებში:

- სოფლის მეურნეობა
- სატყეო მეურნეობა
- თევზჭერა
- ენერგეტიკა
- მრეწველობა
- ტრანსპორტი
- ნარჩენების მართვა
- წყლის რესურსების მართვა
- ელექტრონული კომუნიკაციები
- ტურიზმი
- დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა[9]

საკალდებულო სგშ-ს მაგალითები:

ქვემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიული დოკუმენტები წარმოადგენენ იმ არსებული სტრატეგიული დოკუმენტების მაგალითებს, რომლებისთვისაც უნდა ჩატარებულიყო სგშ, თუ მათი მომზადების პროცესში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ უკვე ძალაში იქნება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ცვლილებების შეტანა ამ დოკუმენტებში, ისინი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სგშ-ს დაექვემდებარებიან. აღნიშნული დოკუმენტები მომზადებულია საქართველოში და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანხმად, ექვემდებარებიან სგშ-ს.

---

8. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 23

9. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 20.

** სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008" – საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის N107 დადგენილებით.*

** ქ. თბილისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა 2001-2020 (SEAP). დამტკიცებულია ქ. თბილისის მერიის 2011 წლის 28 მარტის N 07.10.237 გადაწყვეტილებით.*

** საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ[10].*

** ეროვნული სატყეო კონცეფცია. დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 11 დეკემბერს.*

** მცხეთა-მთიანეთის და იმერეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიები 2012-2017 წწ.*

ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ექვემდებარება სავალდებულო სგშ-ს. ეს ეხება როგორც ახლად მომზადებულ დოკუმენტს, ასევე მასში შეტანილ მნიშვნელოვან ცვლილებებსაც. „მნიშვნელოვან ცვლილებად" ითვლება ისეთი ცვლილება, რომელიც კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებას იწვევს, მაგ. როგორიცაა, სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, პრიორიტეტებისა და ამოცანების ცვლილება. მაგალითისათვის, თუ სტრატეგიული დოკუმენტი ეხება ქალაქის განვითარებას და გეგმის ძირითად პრიორიტეტს ტურიზმის განვითარების მიზნით სასტუმროების მშენებლობა, პარკების გაშენება და ა.შ. წარმოადგენს, ხოლო მოგვიანებით ხდება პრიორიტეტის ცვლილება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ნაცვლად პრიორიტეტი ენიჭება სამრეწველო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ეს იწვევს სტრატეგიული დოკუმენტის კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებას. აღნიშნული ცვლილება „მნიშვნელოვან ცვლილებად" უნდა ჩაითვალოს.

არსებობს გარკვეული ტიპის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებთან მიმართებითაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება იმასთან დაკავშირებით, საჭიროებენ თუ არა ისინი სგშ-ს - ამ პროცედურას „სკრინინგი" ეწოდება (სკრინინგის პროცედურის შესახებ იხ. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თავი III, 23-ე მუხლი).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურა, როგორც სგშ-ს პროცესის ნაწილი, აუცილებელია შემდეგი დოკუმენტებისთვის:

- არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტში შეტანილი მცირედი შესწორებები, რომლებიც არ იწვევენ დოკუმენტის კონცეპტუალური ხასიათის ცვლილებას;
- სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება თვითმმართველი თემის ტერიტორიას თვითმმართველი ქალაქების გამოკლებით[11];
- სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებლი იმ საქმიანობებისათვის, რომლებიც არ არის წარმოდგენილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I და II დანართებში ან/და არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ სექტორებს.

10. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია (ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy)

11. თვითმმართველი თემების რეგულირება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". კოდექსი თვითმმართველ თემად განიხილავს დასახლებების ჯგუფს, რომლებსაც ამ კანონით მინიჭებული აქვთ ან უნდა მიენიჭოთ მუნიციპალიტეტის სტატუსი. აღნიშნული კოდექსის თანახმად საქართველოს თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ამბროლაური, მცხეთა და ახალციხე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრატეგიულ დოკუმენტში მცირე ცვლილებების შეტანის შემთხვევაში სკრინინგის ჩატარება აუცილებელია. ასეთი ცვლილებები შეიძლება იყოს, მაგ., ადმინისტრაციული ხასიათის - სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრული გარკვეული ღონისძიებების განხორციელების პასუხიმგებლობის დაკისრება სხვა ადმინისტრაციული უყწებისთვის. ასევე, მცირე ცვლილების მაგალითია მიწათსარგებლობის ისეთი არსებული გეგმის ცვლილება, რომელიც ისედაც რეგულარულად იცვლება (მაგ., ყოველ ხუთ წელიწადში).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 16-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გარდა იმ სტრატეგიული დოკუმენტებისა, რომლებისთვისაც სავალდებულია სგშ და სკრინინგი, არსებობს სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც არ ექვემდებარებიას სგშ-ს - ეს არის ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, რომელთა ერთადერთ მიზანს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ან ფორსმაჟორული მდგომარეობით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება წარმოადგენს[12].

იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს, შესაძლებელია ცხრილი 1-ში მოცემული კითხვების გამოყენება:

ცხრილი 1: კითხვები იმის დასადგენად, ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს

კითხვა

ექვემდებარება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მომზადებას და/ან დამტკიცებას; ან, მზადდება თუ არა ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პარლამეტის, მთავრობის ან გადაწყვეტილების მიმღები სხვა ორგანოს მიერ დასამტკიცებლად სამართლებრივი პროცედურის საშუალებით და ითხოვს თუ არა ამას სამართლებრივი, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დებულებები?

დასაბუთება

სგშ-ს ექვემდებარებიან მხოლოდ ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებსაც ამზადებს და/ან ამტკიცებს ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული დონის ადმინისტრაციული ორგანო. სგშ-ს არ ექვემდებარება სპეციალურად შექმნილი დროებითი დოკუმენტები, რომელთა მისაღებად არ არის საჭირო სახელმწიფო უწყების სამართლებრივი გადაწყვეტილება ან დამტკიცება.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია, მდინარის სააუზო მართვის გეგმები და რეგიონული სივრცითი მოწყობის გეგმები წარმოადგენენ დოკუმენტებს, რომლებისთვისაც, როგორც წესი, სგშ აუცილებელია (ვინაიდან ეს დოკუმენტები მზადდება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნით და მტკიცდება გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ).

მეორე მხრივ, თუ რომელიმე კერძო კომპანია მოამზადებს სანაპიროზე ტურიზმის განვითარების გეგმას შიდა მოხმარებისათვის, ამ დოკუმენტს სგშ არ დასჭირდება. იმ შემთხვევაში, თუ გეგმა დამტკიცდება, იგი უნდა შევიდეს შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტში (ადგილობრივი სივრცითი გეგმა, ტურიზმის განვითარების გეგმა), რომელიც სგშ-ს ექვემდებარება.

12. *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი I, მუხლი 16, პუნქტი 1*

კითხვა

მზადდება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი შემდეგი სექტორებისათვის: სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ელექტრონული კომუნიკაციები, ტურიზმი ან დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა?

დასაბუთება

დოკუმენტი შეიძლება ფოკუსირებული იყოს ერთ მოცემულ სექტორზე (მაგ., ეროვნული სატრანსპორტო გეგმა ან ნარჩენების მართვის რეგიონული პროგრამა), ან სექტორი (სექტორები) შეიძლება განსაზღვრული იყოს უფრო ფართომასშტაბიან დოკუმენტებში (მაგ., განვითარების ეროვნული გეგმა, რომელიც ადგენს პრიორიტეტებს ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და ა.შ. სექტორებისთვის).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია დოკუმენტის მთელი შინაარსის, და არა მხოლოდ მისი სახელწოდების, განხილვა იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა ის სგშ-ს.

მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, როგორიცაა სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008" – საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესი, ქ. თბილისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა 2001-2020 (SEAP), საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ., ეროვნული სატყეო კონცეფცია და მცხეთა-მთიანეთისა და იმერეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიები 2012-2017 წწ., ექვემდებარებიან სგშ-ს.

კითხვა

ადგენს თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I და II დანართებით განსაზღვრული საქმიანობებისათვის?

დასაბუთება

„ჩარჩო პროექტებისათვის" შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მნიშვნელობით.

ჩარჩოს დადგენა შეიძლება მოხდეს პირდაპირი გზით პროექტებისათვის ისეთი მოთხოვნების დაწესების საშუალებით, რომლებიც შეეხება პროექტების ადგილმდებარეობას, ხასიათს, მასშტაბებსა და/ან ოპერირების პირობებს (მაგ., რეგიონულმა ენერგეტიკულმა სტრატეგიამ შეიძლება განსაზღვროს მომავალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა, სიმძლავრე და/ან ადგილმდებარეობა) ან კონკრეტული პროექტებისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფით (მაგ., ეროვნულმა სატრანსპორტო პროგრამამ შეიძლება გამოყოს 10,000,000 აშშ დოლარი საავტომობილო მაგისტრალის ასაშენებლად).

არაპირდაპირი გზით ჩარჩოს დადგენა შესაძლებელია სავალდებულო მოთხოვნების დაწესებით ქვედა დონის სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, რომლებიც თავად განსაზღვრავენ სავალდებულო მოთხოვნებს პროექტების მიმართ. მაგა-

ლითად, რეგიონული სივრცითი მოწყობის გეგმა ადგენს სივრცითი განვითარების პრიორიტეტებს, რომლებიც უნდა განისაზღვროს და დაზუსტდეს ადგილობრივ სივრცითი მოწყობის გეგმებში.

ორივე შემთხვევაში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ზემოქმედებები და საჭიროა სგშ-ს ჩატარება.

კითხვა

რომელი სხვა სექტორი შეიძლება მოექცეს სგშ-ს პროცესის მოქმედების სფეროში?

დასაბუთება

შეიძლება არსებობდეს ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც სხვა სექტორებს ეხება და რომლებსაც ასევე შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ, ასეთი დოკუმენტები სგშ-ს კანდიდატებად უნდა განვიხილოთ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების გეგმები (მაგ., ატმოსფერულ ჰაერში ემისიების შემცირების ეროვნული გეგმა), მართვის გეგმები ბიომრავალფეროვნების ზონებში, ხმაურის შემცირების გეგმები, ან ეკონომიკური განვითარების გეგმები.

04 სგშ-ს პროცედურული და ანალიტიკური ეტაპები

4.1 სკრინინგი

განმარტება:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-3 მუხლის ,,უ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგი არის „პროცედურა, რომლის შედეგადაც მიიღება გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების თაობაზე სამინისტროში ამგვარი მოთხოვნით მიმართვის შემდეგ“.

მიზანი და დანიშნულება:

სკრინინგი ადგენს, ექვემდებარება თუ არა კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს. ეს არის შედარებით მარტივი პროცედურა, რომლისთვისაც, როგორც წესი, არ არის საჭირო გარემოსა თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების საფუძვლიანი ანალიზი.

სამართლებრივი მოთხოვნები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის თანახმად, დამგეგმავი ორგანო ამზადებს დაგეგმილი საქმიანობების მოკლე აღწერას და მისი ადგილმდებარეობის, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების ხასიათისა და შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის დახასიათებას. ეს ინფორმაცია წარედგინება სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს სკრინინგის განცხადებასთან ერთად. სამინისტროები, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, გადაწყვეტენ, ექვედებარება თუ არა ესა თუ ის გეგმა ან პროგრამა სგშ-ს. სკრინინგის პროცედურა 10 (ათი) – 15 (თხუთმეტი) დღე გრძელდება.

სგშ სავალდებულოა ისეთი სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ (იხ. თავი 3.3 ზემოთ), ხოლო სკრინინგი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად უნდა ჩატარდეს შემდეგ შემთხვევებში:

- არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი შესწორება , რომელიც არ ცვლის სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსს კონცეპტუალური თვალსაზრისით;
- სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ეხება თვითმმართველი თემის ტერიტორიას, თვითთმართველი ქალაქების გამოკლებით;
- სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებლი იმ საქმიანობებისათვის, რომლებიც არ არის წარმოდგენილი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებში და/ან არ მიეკუთვნებიან შემდეგ სექტორებს:

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების მართვა, ელექტრონული კომუნიკაციები, ტურიზმი, დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა.

სკრინინგის ჩატარების მიზნით, დამგეგმავმა ორგანომ უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები: განცხადების წარდგენა, კონსულტაციების ჩატარება და სკრინინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2: სკრინინგის პროცედურული ეტაპები

სამინისტრო - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ჯანდაცვის სამინისტრო - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

4.4.1 რეკომენდირებული მიდგომა

სკრინინგის ფორმისა და განცხადების წარდგენა:

- დამგეგმავი ორგანო სკრინინგის განცხადებით მიმართავს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე - საუკეთესო შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე. მიუხედავად იმისა, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ შესაბამისი მოთხოვნა არ არის, სასურველია, რომ დამგეგმავმა ორგანომ შეავსოს სკრინინგის ფორმა (იხ. დანართი 1. სკრინინგის ფორმის ნიმუში) და განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს (ჯანდაცვის სამინისტროსათვის აღნიშნული ვალდებულება ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან)

სგშ-სადმი დაქვემდებარების საკითხის დადგენა:

- სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო ინდივიდუალურად განიხილავენ დამგეგმავი ორგანოს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებას (მათ შორის სკრინიგის ფორმას ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციას და იღებენ გადაწყვეტილებას სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-სადმი დაქვემდებარების შესახებ სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 10 (ათი) და არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის დაგადწყვეტილებას სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თუმცა ერთიდაიმავე ვადაში იღებენ, ეს ნიშნავს იმას, რომ სკრინინგის პროცესი ორივე სამინისტროში პარალელურად მიმდინარეობს. სგშ-ს პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, რეკომედებულია სკინინგის პროცესის ამ ორ სამინისტროს შორის კოორდინირებულად წარმართვა. სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული მოსაზრებების (საჭიროა თუ არა სკრინინგი კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტისთვის) განხილვისა და სკრინინგის გადაწყვეტილების კოორდინირებულად მომზდების მიზით სამინისტროს შეუძლია ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროსთან. სამუშაო შეხვედრების დასკვნების საფუძველზე, თითოეული სამინისტრო დამოუკიდებლად გამოსცემს სკრინინგის გადაწყვეტილებას.

- აქედან გამომდინარე, სკრინინგის პროცედურის შედეგად მიიღება სკრინინგის ორი გადაწყვეტილება - სამინისტროს მიერ გაცემული და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით სავალდებულოა სგშ-ს ჩატარება, დამგეგმავმა ორგანომ უნდა განახორციელოს სგშ-ს პროცედურა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და დამგეგმავი ორგანოს ვებ-გვერდებზე ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე. თუმცა, ასევე რეკომენდებულია საზოგადოების ინფორმირება სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ სხვა ისეთი საშუალებებითაც, როგორიცაა ადგილობრივი მედია, ეროვნული/არასამთავრობო ორგანიზაციები და ქსელები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, სკოლებში, ავტობუსის გაჩერებებზე, სასოფლო-სამეურნეო ბაზრობებზე და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში არსებული საინფორმაციო დაფები.

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სკრინინგის კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია ცხრილი 2-ში შესაბამისი განმარტებებით. უნდა აღინი-

შნოს, რომ სკრინინგის კრიტერიუმებისათვის არ არსებობს ზღვრები (როგორც ეს გზშ-ს შემთხვევაშია), ვინაიდან ზემოქმედების მნიშვნელობა ყველა ინდივიდუალური შემთხვევისთვის განსხვავებულია. ზოგადად, ითვლება, რომ რაც უფრო მეტია თანხვედრა კრიტერიუმებთან, მით უფრი მეტია ალბათობა იმისა, რომ გარემოზე ზემოქმედება მნიშვნელოვანი იქნება. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში რომელიმე ერთ კრიტერიუმთან დაკავშირებული ზემოქმედება შეიძლება გახდეს სგშ-ს ჩატარების აუცილებლობის საფუძველი[13].

ცხრილი 2: სკრინინგის პროცესში გასათვალისწინებელი კრიტერიუმები[14]

კრიტერიუმები

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების მახასიათებლები, კერძოდ:

ინდიკატორები	განმარტება
• რამდენად უდგენს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელ საქმიანობებს მათი ადგილმდებარეობის, ტიპის, მოცულობისა და სამუშაო პირობების, ან ბუნებრივი რესურსების განაწილების კუთხით;	• რაც უფრო ზუსტად აყალიბებს სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ის სგშ-ს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ, მაგალითად, არა მარტო შენობებისა ან კომერციული საქმიანობების ადგილმდებარეობას, არამედ მათ ხასიათს, ზომებს და (საჭიროებისამებრ) ექსპლუატაციის პირობებს, აყალიბებენ უფრო დეტალურ ჩარჩოს პროექტებისათვის, ამიტომ ასეთი დოკუმენტების შემთხვევაში სგშ-ს საჭიროების ალბათობა გაცილებით მეტია, ვიდრე იმ დოკუმენტების შემთხვევაში, რომლებიც განსაზღვრავენ ამოცანებს მოცემული- ჩარჩოს დეტალების დაკონკრეტების გარეშე, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს აღნიშნული ამოცანების შესრულება.
• ზემოქმედების ხარისხი, რომელსაც სტრატეგიული დოკუმენტი ახდენს სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებზე;	• იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს სხვა სტრატეგიულ დოკუმენტზე, შესაძლებელია, რომ მისი განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება უფრო ფართოდ (ან ღრმად) გავრცელდეს. ამ შემთხვევაში, ალბათობა იმისა, რომ სტრატეგიულ დოკუმენტს სგშ ესაჭიროება მეტია, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში. მაგალითად, ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები სივრცითი მოწყობის გეგმაში ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობის განსაზღვრის მიზნით.

13. *ევროპის კომისია, 2003: გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ 2001/42/EC დირექტივის განხორციელება, შემდგომში „ევროკომისიის სგშ-ს სახელმძღვანელო“*

14. *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 23, თავი 3, განმარტებები „ევროკომისიის სგშ-ს სახელმძღვანელოდან“ ადაპტირებული ინდიკატორების შესახებ (იხ. ზემოთ).*

• სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით, კერძოდ, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით;	• ამ კონტექსტში საკვანძო კითხვას წარმოადგენს ის, თუ რამდენად შეუძლია წარმოდგენილ სტრატეგიულ დოკუმენტს გარემოსა თუ ადამიანის ჯანმთელობაზე მოსალოდნელი ზიანის შემცირება. ის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც აქვს გარემოზე ზემოქმედების უფრო ფართო ფარგლები (მაგ., ტრანსპორტის პროგრამა შეიძლება მნიშვნელოვანწილად ფოკუსირებული იყოს ტრანსპორტის ემისიებისა და ხმაურის შემცირებაზე), სგშ-ს უფრო რეალური კანდიდატია, ვიდრე ის დოკუმენტი, რომელსაც ერთი ან მცირერიცხოვანი გარემოსდაცვითი ზემოქმედება აქვს.
• სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები;	• სგშ-ს ექვემდებარება ისეთი სტრატეგიული-დოკუმენტი, რომელსაც შეუძლია გარემოსთან/ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოწვევა ან გაძლიერება, შეზღუდულია ან იმყოფება ამ პრობლემების ზემოქმედების ქვეშ, ან ხელს უწყობს ამ პრობლემების მოგვარებას, შემცირებას ან თავიდან აცილებას. მაგალითად, წყლის ცუდი ხარისხი ან წყლის რესურსების ნაკლებობა გარემოსდაცვითი პრობლემაა, რომელსაც შეუძლია უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ტერიტორიაზე მსგავსი პრობლემა არსებობს, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას, სავარაუდოდ, სგშ დასჭირდება.
• სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელებისათვის.	• აქ განხილულ უნდა იქნეს გარემოსდაცვითი-კანონმდებლობის განხორციელებაზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედებები. ზოგიერთი სტრატეგიული დოკუმენტი წარმოადგენს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების ინსტრუმენტს (მაგ., ნარჩენების მართვის გეგმები), მაშინ, როდესაც სხვა სტრატეგიული დოკუმენტები შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებულ სამართლებრივ ჩარჩოებთან (მაგ., ტრანსპორტის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბება და ამრიგად, ის შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლობის დებულებების განხორციელების მნიშვნელოვან „პრობლემად“).

კრიტერიუმები

ზემოქმედების ხასიათი და ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის მახასიათებლები, კერძოდ:

ინდიკატორები	განმარტება
• ზემოქმედების ალბათობა, ხანგრძლივობა, სიხშირე და შეუქცევადობა;	• ზოგადად, ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ხანგრძლივი, ხშირი და შეუქცევადი ზემოქმედებები, სგშ-ს უფრო ძლიერი კანდიდატები არიან, ვიდრე დოკუმენტები, რომელთა ზემოქმედების მოხდენის ალბათობა დაბალია და რომელთა ზემოქმედებაც ხანმოკლე იქნება (მაგ., კონკრეტული პროექტის მშენებლობის დროს) და/ან იშვიათი და/ან შექცევადი ხასიათის.
• ზემოქმედების კუმულაციური ხასიათი;	• რაც უფრო კომპლექსურია (მაგ., სინერგიების და აკუმულაციის გამო), ფართოდ გავრცელებადია ან სერიოზულია ზემოქმედება, მით უფრო მეტია შესაძლებლობა იმისა, რომ აღნიშნული ზემოქმედებები „მნიშვნელოვან“ ზემოქმედებებად ჩაითვალოს. ზემოქმედების შესაძლო კუმულაცია ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან მისი საშუალებით უმნიშვნელო ზემოქმედებები „მნიშვნელოვანი“ ხდება. მაგალითად, შედარებით მცირემასშტაბიანი სამრეწველო განვითარების ზემოქმედება ჰაერის ხარისხზე იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა სწრაფად იზრდება, უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, რადგან სამრეწველო განვითარების შედეგად წარმოქნილ ემისიებს ტრანსპორტის ემისიებიც დაემატება.
• ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;	• ის სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის განხორციელებამაც შეიძლება გამოწვიოს ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სხვა ქვეყნის (ქვეყნების) ტერიტორიაზე, ითვლება სგშ-ს კანდიდატად.
• გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობის მიმართ რისკები (მაგ., ავარიების შედეგად);	• აღნიშნული ასპექტი ეხება მოსალოდნელი- ზემოქმედებების სიხშირესა და ხანგრძლივობას - იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედებების რისკი მაღალია, ისინი მნიშვნელოვან ზემოქმედებებად უნდა ჩაითვალოს.
• ზემოქმედების არეალი და ფართობი (გეოგრაფიული არეალი და ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობის რაოდენობა);	• ის ზემოქმედებები, რომელიც ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე ან ადამიანების დიდ რაოდენობაზე, მნიშვნელოვან ზემოქმედებებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე ჰაერის ხარიხის უმნიშვნელოდ გაუარესებაც კი ბევრი ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას გამოიწვევს.

- ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ღირებულება და მოწყვლადობა, მაგ.: განსაკუთრებული ბუნებრივი მახასიათებლები ან კულტურული მემკვიდრეობა, გარემოსდაცვითი ხარისხობრივი სტანდარტების დარღვევა ან ზღვრული ნორმების გადაჭარბება, ასევე, ინტენსიური მიწათსარგებლობა, ზემოქმედება იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო დაცვის სტატუსი, მათ შორის, დაცული ტერიტორიები.
- ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ყურადღების მიქცევას საჭიროებენ არა მხოლოდ ის ტერიტორიები, რომლებსაც დაცვის სტატუსი გააჩნიათ. შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის განსაკუთრებული ღირებულებისა ან მოწყვლადობის გამო, შესაძლებელია, რომ ეს ზემოქმედებები მნიშვნელოვან ზემოქმედებებად ჩაითვალოს.

(წყარო: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 23, თავი 3).

სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემა:

- სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაშისამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო ინდივიდუალურად დამგეგმავ ორგანოს უგზავნიან სკრინინგის გადაწყვეტილებას რომელიც წარმოადგენს აღნიშუნლი ორგანოების დასკვნას სკრინინგის პროცედურის შესახებ და იმის დადგენის შესახებ ექვემდებარება თუ არა კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტი სგშ-ს პროცედურებს

4.1.2 პრაქტიკული რჩევები

- მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავასკვნათ, საჭიროებს თუ არა ის სგშ-ს. შესაძლებელია ზოგიერთი ე.წ. „გეგმა და პროგრამა“ სგშ-ს არ საჭიროებს, მაგრამ გარკვეული „პოლიტიკის დოკუმენტისთვის“, „სტრატეგიისა“ ან „კონცეფციისთვის“ სგშ-ს ჩატარებააუცილებელია (იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტები აკმაყოფილებენ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილ კრიტერიუმებს);
- სტრატეგიულ დოკუმენტში მცირედი შესწორება შეიძლება იყოს, მაგ., ადმინისტრაციული ხასიათის - სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრული გარკვეული ღონისძიებების განხორციელების პასუხიმგებლობის დაკისრება სხვა ადმინისტრაციული უყწებისთვის. ასევე, მცირე შესწორების მაგალითია მიწათსარგებლობის ისეთი არსებული გეგმის ცვლილება, რომელიც ისედაც რეგულარულად იცვლება (მაგ., ყოველ ხუთ წელიწადში). მიუხედავად იმისა, რომ გეგმის განახლება, როგორც წესი, სგშ-ს ექვემდებარება, ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც გეგმის შეცვლა უმნიშვნელო მიზეზების გამო ხდება . მაგალითად, ისეთი ცალკეული ცვლილებები პროექტებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არ ცვლიან გეგმის გარემოზე ზემოქმედებას (მაგ., საცხოვრებელი სახლის ზუსტი მდებარეობის შეცვლა განაშენიანების ზონის ფარგლებში), უნდა გათავისუფლდნენ სგშ-ს ჩატარების ვალდებულებისაგან. თუ ცნობილია, რომ ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ზემოქმედება გამოიწვიოს, ან ზემოქმედების თაობაზე გარკვეული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია სკრინიგის პროცედურის ჩატარება;
- სკრინინგი უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საწყის ეტაპზე - იდეალურ სიტუაციაში, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს სგშ-ს ინიცირებას დაგეგმვის პროცესის დასაწყისში და გამორიცხავს სგშ-ს განხორციელების პროცესის გაჭიანურებას;
- იმ შემთხვევაში, თუ დამგეგმავი ორგანო ვერ წყვეტს, საჭიროა თუ არა სგშ და/ან

სკრინინგი, მან რჩევისთვის სამინისტროს უნდა მიმართოს;

- ცალკეულ შემთხვევებში, სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია გარემოსა და/ან ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინება. თუმცა, კონკრეტული ზღვრების დადგენა შეუძლებელია - მოსალოდნელი ზემოქმედებები და მათი მასშტაბი მნიშვნელოვნად არის განპირობებული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის მახასიათებლებზე და ასევე, სტრატეგიული დოკუმენტის მიზანზე (და ძირითად ღონისძიებებზე). გარდა ამისა, თუ სკრინინგი დაგეგმვის ადრეულ ეტაპებზე ტარდება (როგორც ეს რეკომენდებულია), ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ მწირი იქნება. ამიტომ, რეკომენდებულია კონსულტაციების გამართვა დამგეგმავ ორგანოსთან სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი საქმიანობების, მათი განხორციელების მეთოდებისა და ა.შ. დასაზუსტებლად.
- სკრინინგის ეტაპზე კონსულტანტების სრული დატვირთვით ჩართვა არ არის აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ სკრინინგის განცხადების ფორმა მოითხოვს გარკვეულ ინფორმაციას სამიზნე ტერიტორიაზე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სამინისტროდან და/ან ჯანდაცვის სამინისტროდან, და შესაბამისად, სკრინინგის განცხადების ფორმის შევსება „საკუთარი ძალებითაც“ შეიძლება.

4.2 სკოპინგი

განმარტება:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-3 მუხლის ,,ს“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოპინგი არის „პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს[15].”

მიზანი და დანიშნულება:

სკოპინგის მიზანია სგშ-ს ანგარიშში წარმოსადგენი ინფორმაციის დადგენა, კერძოდ, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ ძირითადი საკითხების გამოვლენა, რომლებიც შესწავლილი იქნება სგშ-ს პროცესში, აგრეთვე იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც არ არიან კავშირში მოცემულ სტრატეგიულ დოკუმენტთან და შესაბამისად, არ საჭიროებენ შესწავლას.

გარდა ამისა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგი[16] :

- ავლენს კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტის შესაძლო ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- განსაზღვრავს გონივრულ და პრაქტიკულ, მათ შორის გარემოს დაცვის კუთხით საუკეთესო ალტერნატივებს;
- უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სტრატეგიული დოკუმენტის, შესაბამისი ალტერნატივებისა და სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
- ახდენს საზოგადოებრივი ინტერესის გამოვლენას სტრატეგიულ დოკუმენტთან მიმართებით;

15. *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 28*
16. *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 24*

- დამგეგმავ ორგანოს აწვდის შესაბამის ინფორმაციას სგშ-ს მომზადებისთვის საჭირო რესურსების დაზოგვის მიზნით;
- განსაზღვრავს სგშ-ს პროცესში ფონური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის ფარგლებს;
- ახდენს მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამოვლენას დაცულ ტერიტორიებზე, ასევე იმ ტერიტორიებსა და/ან ლანდშაფტებზე, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი და/ან საერთაშორისო მნიშვნელობა;
- ადგენს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ალბათობას.

სამართლებრივი მოთხოვნები:

სკოპინგი წარმოადგენს სგშ-ს პირველ ეტაპს, რომელიც მოითხოვს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევების მნიშვნელოვან დონეზე ჩატარებას. კანონმდებლობის თანახმად, სკოპინგის ეტაპი მოიცავს სკოპინგის ანგარიშის მომზადებას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით დასამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემას (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3-ზე წარმოდგენილია სკოპინგის პროცედურული ნაბიჯები სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად[17] :

დიაგრამა 3: სკოპინგის ეტაპები



17. *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 25*

4.2.1 რეკომენდირებული მიდგომა

სკოპინგის ანგარიშის მომზადება:

- დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს სკოპინგის ანგარიშის მომზადება კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. დანართი 2-ში შემოთავაზებული სკოპინგის ანგარიშის შესაძლო სტრუქტურა და შინაარსი რომელიც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა (იხ. დანართი 2).

სკოპინგის დასკვნა :

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სკოპინგის ანგარიშისა და სკოპინგთან დაკავშირებული კონსულტაციების შედეგების საფუძველზე სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურად ამზადებენ სკოპინგის დასკვნას. სკოპინგის დასკვნაზე მუშაობა სამინისტროში პარალელურად და კოორდინირებულად უნდა მიმდინარეობდეს., მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოთხოვნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ არ არის. ამისათვის, რეკომენდირებულია სამინისტრომ ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროსთან. სკოპინგის დასკვნა მოიცავს სკოპინგის ანგარიშში ასახული ინფორმაციის შეფასებას და ადგენს სგშ-სთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და აღნიშნული ინფორმაციის სგშ-ს ანგარიშში ასახვის საშუალებებს. ორივე სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელ დასკვნას ამზადებს სამინისტრო ძირითადად ეხება გარემოს დაცვის საკითხებს, ხოლო ჯანდაცვის სამინისტრო - ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ასპექტებს.
- სკოპინგის დასკვნის მოთხოვნის ან მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მიზანშეწონილია დამგეგმავმა ორგანომ სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს წარუდგინოს შესაბამისი განმარტებები
- დასკვნა სკოპინგის შესახებ ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ს ანგარიში სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან ერთად არ იქნა წარმოდგენილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროში, იგი ვალდებულია ხელახლა განახორციელოს სკოპინგის პროცედურები[18] .

სკოპინგის დასკვნის შესაძლო აღწერა:

- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკითხების მიმოხილვა, რომლებიც შესწავლილი იქნება სგშ-ში (სასურველია შესწავლის დონის მითითებაც - ძალიან ზოგადიდან (მაგ., წყლის ხარისხი) - კონკრეტულამდე (მაგ., ურბანული ტერიტორიების ჰაერში ბენზო(ა)პირენის კონცენტრაციის ცვლილება).
- იმ სტრატეგიული დოკუმენტების ან გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზნების მიმოხილვა, რომლებთან თავსებადობაც შეფასებული იქნება სგშ-ში (მაგ., შემოთავაზებული სტრატეგიის „ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნულ პროგრამასთან“ (2010), კერძოდ „დაცული ტერიტორიების მთლიანობისა და ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნების“ მიზანთან მისი თავსებადობის შეფასება).
- იმ დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა ჩატარდეს კონსულტაციები სგშ-ს შემდგომ ეტაპზე (მაგ., რეგიონული ხელისუფლების ორგანო X, არასამთავრობო ორგანიზაცია Y, კვლევითი ინსტიტუტი Z).
- რეკომენდაციები შემდგომი კონსულტაციების ჩატარების თაობაზე, მათ შორის, ი-

18. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 26

სეთ ღონისძიებებთან დაკავშირებითაც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ (მაგ., სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიისა და სგშ-ს ანგარიშის ერთი საჯარო განხილვა უნდა მოეწყოს დედაქალაქში, ხოლო ორი დამატებითი განხილვა სასურველია მოეწყოს იმ ორ რაიონში, რომლებიც ექცევიან ყველაზე ძლიერი ზემოქმედების ქვეშ).

- ალტერნატივების შეფასების მოთხოვნა (მაგ., გარკვეული ალტერნატივების შემუშავების და/ან ანალიზის აუცილებლობის მითითება: მაგ., კონკრეტული სატრანსპორტო დერეფნების ალტერნატივების შემუშავება და შეფასება დასახლებულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით).
- რეკომენდაციები ანალიზის იმ მეთოდებსა და საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სგშ-ში (მაგ., დაცულ ტერიტორიებსა და დაგეგმილ ინფრასტრუქტურას შორის მოსალოდნელი კონფლიქტის სივრცითი ანალიზი).

სკრინინგისა და სკოპინგის კომბინირება:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ დამგეგმავ ორგანოს აძლევს საშუალებას სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთდროულად წარუდგინოს სკრინინგისა და სკოპინგის განცხადებები. იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის პროცედურა დაადგენს, რომ სტრატეგიული დოკუმენტი ექვემდებარება სგშ-ს, აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს სკოპინგის დასკვნის მისაღებად საჭირო ადმინისტრაციული პროცედურის დაწყების საფუძველს. მიუხედავად ამისა, სასურველია ჯერ სკრინინგის პროცედურის ჩატარება და სკოპინგის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკრინინგის გადაწყვეტილებით სგშ-ს ჩატარების აუცილებლობა დადგინდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება სკოპინგის ანგარიშის მომსამზადებლად საჭირო ექსპერტების შრომის, დროის და ფინანსური რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას.

4.2.2 პრაქტიკული რჩევები:

კონსულტანტების ჩართვა:

- მიუხედავად იმისა, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არ ადგენს, თუ ვინ უნდა მოამზადოს სკოპინგის ანგარიში, მოსალოდნელია, რომ უმეტეს შემთხვევებში სკოპინგის ანგარიშების მომზადებაში სგშ-ს კონსულტანტები იქნებიან ჩართული. დამგეგმავმა ორგანომ კონსულტანტების ჩართვა უნდა უზრუნველყოს სკოპინგის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე და კარგად განსაზღვროს მათი ამოცანები. თუმცა, ვინაიდან სგშ-ს ჯგუფის მიერ ჩასატარებელი შეფასებისა და კვლევების ფარგლები მხოლოდ სკოპინგის დასრულების შემდეგ დაზუსტდება, კონსულტანტების ტექნიკური დავალება/კონტრაქტი უნდა იყოს მოქნილი, რათა შესაძლებელი იყოს მათთვის დამატებითი ამოცანების დაკისრება. დამატებითი ინფორმაცია კონსულტანტების მონაწილეობის შესახებ იხ. დანართი 7-ში.

სკოპინგის კონსულტაციები:

- სკოპინგის პროცედურა არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ „დასკვნის მიღება სკოპინგის ანგარიშზე“; იგი შეფასების ფარგლების დადგენის პროცესია. აქედან გამომდინარე, სკოპინგის ეტაპზე ჩასატარებელი კონსულტაციები კონცენტრირებული უნდა იყოს სგშ-ს შემდეგომ ეტაპებზე: რა კვლევები უნდა ჩატარდეს სგშ-ს ანგარიშის ფარგლებში, რა კონსულტაციები უნდა ჩატარდეს და ა.შ.
- იდეალურ სიტუაციაში, სგშ-ს ფარგლები მისაღები უნდა იყოს დამგეგმავი გუნდი-

სა და დაინტერესებული მხარეებისათვის. თუმცა, სგშ-დან რომელიმე საკითხის ამოღება იმის გამო, რომ ვერ მოხდა შეთანხმება ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარესთან დაუშვებელია - საკვანძო საკითხების ნუსხის შეცვლის ან შემცირების შესაძლებლობა სგშ-ს პროცესის შემდგომ ეტაპებზეც არსებობს.

- სკოპინგის ეტაპს წვლილი შეაქვს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში - სკოპინგი ავლენს შესაძლო გარემოსდაცვით კონფლიქტებს, იძლევა რეკომენდაციებს სტრატეგიულ დოკუმენტში გარკვეული ელემენტების/კონკრეტული ქმედებების ალტერნატივების შემუშავების საჭიროების თაობაზე, და სხვ. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სკოპინგის ანგარიშის სამუშაო ვერსიის განხილვა სტრატეგიულ დოკუმენტზე მომუშავე გუნდის წევრებთან, რათა მოსმენილ იქნეს მათი მოსაზრებები როგორც სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ გაკეთებული რეკომენდაციების, ასევე სგშ-ს შეთავაზებული ფარგლების თაობაზე. გარდა ამისა, საჭიროა შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს სგშ-ს დასკვნების გათვალისწინება სტრატეგიულ დოკუმენტში. გარდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიერ გათვალისწინებული სკოპინგის ფორმალური შეხვედრებისა, რეკომენდებულია არაფორმალური საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება დამგეგმავ ჯგუფსა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კონსულტაციების ჩატარება შესაძლებელია კონკრეტული ასპექტების განხილვის მიზნით (მაგ., ბიომრავალფეროვნების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა და სხვ.) ხელისუფლების შერჩეულ ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან რამდენიმე არაფორმალური სემინარის (სემინარების) და/ან მცირე ფორმატის შეხვედრების სერიის მოწყობის გზით. სგშ-ს პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, რომ ასეთი მიდგომა მხოლოდ ოფიციალურ, „სტანდარტულ“ შეხვედრებზე დამყარებულ მიდგომაზე ეფექტიანია.
- სასურველია, რომ დამგეგმავმა ორგანომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია სკოპინგის განცხადებისა და სკოპინგის დასკვნების შესახებ გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისათვის და/ან საზოგადოების უმრავლესობისათვის, მათ შორის ისეთი საშუალებებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგ., ავტობუსის გაჩერებებზე, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სავაჭრო ცენტრებში, საფოსტო განყოფილებებში და სხვა საჯარო ადგილებში არსებულ საინფორმაციო დაფებზე. გარდა ამისა, რეკომენდებულია საზოგადოების ინფორმირება განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესახებ სხვა საშუალებებითაც, როგორიცაა, ადგილობრივი მედია, ეროვნული/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ქსელები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო ბაზრებსა და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში არსებული ოფიციალური საინფორმაციო დაფები და სხვ.

სკოპინგის დასკვნა:

- სკოპინგის დასკვნის მომზადების მიზნით აუცილებელია მიდგომების კოორდინაცია ორ სამინისტროს შორის: საჭიროა შეხვედრების ჩატარება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკვანძო ასპექტებისა და იმ სხვა მოთხოვნების განხილვის მიზნით, რომლებიც ასახულ უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნაში. აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების გაკეთებას, რომლებსაც სგშ-ს შემდგომი ეტაპების გართულება შეიძლება მოჰყვეს.

4.3 სგშ-ს ანგარიში

განმარტება:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-3 მუხლის ,,ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სგშ-ს ანგარიში არის „დამგეგმავი ორგანოს ან/და კონსულტანტის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ კოდექსით დადგენილ ინფორმაციას[19]“.

მიზანი და დანიშნულება:

სგშ-ს ანგარიში უნად იყოს ადვილად კითხვადი და გასაგები დოკუმენტი, რომელშიც ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მონაცემი, დასკვნა და რეკომენდაცია იმდენად ნათლად და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი იქნება აღნიშნული დოკუმენტის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვა.

სამართლებრივი მოთხოვნები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სგშ-ს ანგარიშს ამზადებს დამგეგმავი ორგანო და/ან კონსულტანტი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. სგშ-ს ანგარიში შეიცავს ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“.

სგშ-ს ანგარიშთან, მისი ხარისხის შეფასებასა და კონსულტაციებთან მიმართებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ შემდეგი ქმედებების ჩატარებას მოითხოვს (იხ.დიაგრამა 4):

19. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 22

დიაგრამა 4: სგშ-ს ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე ჩასატარებელი პროცედურული ეტაპები



4.3.1 რეკომენდირებული მიდგომა

ზოგადად, დამგეგმავი ორგანო პასუხისმგებელია სგშ-ს ანგარიშის მომზადებაზე, საჯარო განხილვების ჩატარებასა და კოსულტაციების კოორდინაციაზე, მაშინ, როდესაც სამინისტრომ და ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყონ ხარისხის კონტროლი. სგშ ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. დანართი 3-ში მოცემულია კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული სგშ-ს ანგარიშის შესაძლო შინაარსი (იხ. დანართი 3)

კონსულტაციები სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე:

საკონსულტაციო შეხვედრის დასრულების შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ გარკვეული დრო (მაგ., 10 დღე) წერილობითი კომენტარების მოსაწოდებლად. ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული შედეგები უნდა შეჯამდეს და აღიწეროს, თუ როგორ იქნა (ან იქნება) ისინი გათვალისწინებული სგშ-ს რეკომენდაციების გაცემის პროცესში. დანართი 4-ში მოცემულია დაინტერესებული მხარეებისგან სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე წარმოდგენილი მოსაზრებების შევსების რეკომენდებული ფორმა (იხ. დანართი 4).

4.3.2 პრაქტიკული რჩევები

- სგშ-ს ანგარიშის მომზადება უნდა უზრუნველყოს დამგეგმავმა ორგანომ. თუმცა, პრაქტიკაში შესაძლებელია, რომ სგშ-ს ანგარიში მოამზადონ დამგეგმავი ორგანოს მიერ ქვეკონტრაქტით დაქირავებულმა კონსულტანტებმა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამგეგმავმა ორგანომ კონსულტანტებს ჩაუტაროს სათანადო „კონსულტაცია“ სგშ-ს ანგარიშის თავისებურებების შესახებ (დამატებითი დეტალებისთვის იხ. თავი 9).

- სგშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სგშ-ს პროცესის მართვასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი იქნება, თუ როგორ ჩატარდა სგშ-ს პროცესი, ჩატარდა თუ არა კონსულტაციები ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და/ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, და როგორ მოხდა ამ კონსულტაციების შედეგების გათვალისწინება სგშ-ს ანგარიშში და/ან სტრატეგიულ დოკუმენტში.

- სგშ-ს ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს შესაძლო ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ჯანდაცვის სამინისტროს ფუნქციაა, შეამოწმოს რამდენად სწორია და საკმარისი სგშ-ში წარმოდგენილი ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების შესახებ, და არის თუ არა შემოთავაზებული შერბილების ღონისძიებები. ჯანდაცვის სამინისტრომ ასევე უნდა შეამოწმოს, საკმარისია თუ არა შემოთავაზებული შერბილების ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში მიუთითოს დამატებით ზომებზე.

- დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია სგშ-ს ექსპერტებსა და დამგეგმავ ჯგუფს შორის - აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კომუნიკაციის გეგმის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება სგშ-ს/დაგეგმვის პროცესის ძირითად ეტაპებზე, მათ შორის, სგშ-ს ანგარიშის მოზადების ეტაპზე, სგშ-ს რეკომენდაციების და სტრატეგიულ დოკუმენტის სამუშაო ვერსიაში მათი ინტეგრირების საკითხების განხილვის მიზნით ჩასატარებელი შეხვედრები.

- მიუხედავად იმისა, რომ სგშ-ს ანგარიში განხილულ უნდა იქნეს ოფიციალურ კონსულტაციებზე, სგშ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში შესაძლებელია დამატებითი არაფორმალური სემინარის (სემინარების) და/ან მცირე ფორმატის შეხვედრების სერიის ჩატარება ხელისუფლების შერჩეულ ორგანოებთან და სხვა დაინტერესე-

ბულ მხარეებთან კონკრეტული ასპექტების განსახილველად (მაგ., კონკრეტული ზემოქმედებები, შერბილების ღონისძიებები).

- სამინისტროსა და/ან ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციების ჩატარება სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიისა და სგშ-ს ანგარიშის ოფიციალურად წარდგენამდე მოხსნის ოფიციალურ კონსულტაციებზე დამატებითი მოთხოვნების დაყენების საჭიროებას.

- ინფორმაციის გავრცელების იმ სავალდებულო საშუალებების პარალელურად, რომლებიც განსაზღვრულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში", მიზანშეწონილია ინფორმაცია საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის და/ან საზოგადოების უმრავლესობისათვის, აგრეთვე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ვებ-გვერდებზე და საინფორმაციო დაფებზე, მათ შორის ისეთი საშუალებებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგ., ავტობუსის გაჩერებებზე, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სავაჭრო ცენტრებში, საფოსტო განყოფილებებში და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში არსებულ საინფორმაციო დაფებზე. გარდა ამისა, რეკომენდებულია საზოგადოების ინფორმირება სხვა საშუალებებითაც, როგორიცაა, ადგილობრივი მედია, ეროვნული/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ქსელები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული ოფიციალური საინფორმაციო დაფები და სხვ.

- სგშ-ს ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილულ უნდა იქნეს კონსულტაციების პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სათანადო დაინტერესებულ მხარეს მიეცეს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიისა და სგშ-ს ანგარიშის გაცნობის შესაძლებლობა - წინააღმდეგ შემთხვევაში განხილვები შედეგიანი არ იქნება. ამისათვის კონსულტაციების მომზადების პროცესში აუცილებელია კოორდინაცია სგშ-ს ექსპერტებსა და დამგეგმავ ჯგუფს შორის - კოორდინაცია დამგეგმავმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს. სგშ-ს ანგარიშის ეტაპზე მოსაწვევი პირების სიის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედებები და შესაბამისი სავარაუდო დაინტერესებული მხარეები (ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ იძლევა იმ შესაბამისი ახალი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას (სკოპინგის ეტაპზე გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად), რომლებიც მოწვეულ უნდა იქნენ შეხვედრებზე. მაგალითად, სკოპინგის ეტაპზე ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, სგშ-ს ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო შეხვედრებში, შესაძლებელია, მაგ., ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და/ან იმ ადამიანების მოწვევა, რომლებიც ცხოვრობენ იმ ტერიტორიებზე, სადაც იგეგმება დიდმასშტაბიანი პროექტების განხორციელება (მაგ., მძლავრი ჰიდროელექტროსადგური ან საავტომობილო მაგისტრალი) - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი გეგმებისა და პროგრამების შემთხვევაში. საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების ადგილის შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული ასპექტი. სასურველია შეხვედრების ჩატარება მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს.

- ძალიან მნიშვნელოვანია კონსულტაციის პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა მათი კომე-

ნტარების ასახვა სგშ-ს ანგარიშში და/ან სტრატეგიულ დოკუმენტში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება შეექმნათ წარმოდგენა, რომ მათი მონაწილეობა სათანადოდ არ იქნა დაფასებული და დაკარგონ ინტერესი სგშ-ს მიმართ.

4.4 სგშ–ს ანგარიშის განხილვა

მიზანი და დანიშნულება:

სგშ-ს ანგარიშის განხილვა წარმოადგენს სგშ-ს ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მომზადებისა და გაცემის წინაპირობას. შესაბამისად, სგშ-ს ანგარიშის განხილვამ წვლილი უნდა შეიტანოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შედეგები უნდა იყოს ობიექტური და სანდო და მისი გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების დროს.

სამართლებრივი მოთხოვნები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 27-ე მუხლის თანახმად, სგშ-ს ანგარიშის განხილვას უზრუნველყოფს სამინისტრო საექსპერტო კომისიის საშუალებით, რომელიც იქმნება სგშ-ს დასკვნით ეტაპზე საექსპერტო დასკვნის მომზადების მიზნით. საექსპერტო კომისია შეისწავლის ანგარიშს და ამზადებს საექსპერტო დასკვნას. საექსპერტო კომისიის შექმნას და სგშ-ზე დასკვნის გაცემას (ისევე როგორც გზშ-ზე) არეგულირებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კერძოდ, დამგეგმავი ორგანოს მიერ წარდგენილი განცხადების რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სგშ-ს ანგარიშის განხილვის მიზნით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საექსპერტო კომიისიის შექმნას. საექსპერტო კომისია საექსპერტო დასკვნის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის წარდგენას უზრუნველყოფს არაუგვიანეს 40 (ორმოცი) დღისა-[20]. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ქმნის საექსპერტო კომისიას.

მუშაობის შედეგად საექპერტო კომისია ამზადებს საექპერტო დასკვნას სტრატეგიულ დოკუმენტზე და სგშ-ს ანგარიშზე[21].

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლი სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს ანიჭებს უფლებას კანონით დადგენილი წესით დაადგინოს ხარვეზი და განუსაზღვროს ვადა აღნიშნული ხარვეზის შევსებისათვის. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან და განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.[22]

20. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 27, თავი 6

21. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 44

22. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 83

4.4.1 რეკომენდირებული მიდგომა

- საექსპერტო კომისია იქმნება სამინისტროს მიერ. კომისიის წევრების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სგშ-ში განსახილველი საკვანძო საკითხები და ყველაზე მნიშვნელოვანი მოსალოდნელი ზემოქმედებები (მაგ., სატრანსპორტო გეგმის სგშ-ს შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელია ჰაერის ხარისხზე, ამიტომ კომისიის შემადგენლობაში ჰაერის ხარისხის ექსპერტი უნდა შევიდეს).
- სამინისტროს მოწვევით, კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია უცხოელი ექსპერტების ჩართვაც.
- მიუხედავად იმისა, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საექსპერტო კომისია იქმნება მხოლოდ სამინისტროს მიერ, სასურველია, რომ ასეთივე მიდგომა ჯანდაცვის სამინისტრომაც გამოიყენოს: სამინისტროში უნდა შეიქმნას სამინისტროს და/ან მოწვეული ექსპერტებით დაკომპლექტებული „ჯგუფი“, რომელიც სგშ-ს ანგარიშს შეისწავლის.
- სგშ-ს ანგარიშის შესწავლის დროს ყურადღება, ძირითადად, მის შინაარსს უნდა მიექცეს, მაგალითად, უნდა შემოწმდეს, სათანადოდ აღწერს თუ არა ანგარიში ყველა მოსალოდნელ ზემოქმედებას, განსაზღვრავს თუ არა შერბილების შესაბამის ღონისძიებებს, და სხვ. გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს, გათვალისწინებულია თუ არა სგშ-ს ანგარიშში სკოპინგის რეკომენდაციები.
- სგშ-ს ანგარიშის ხარისხის შემოწმების გარდა, საექსპერტო კომისიის უმთავრეს დანიშნულებას სგშ-ს ანგარიშზე დასკვნის მომზადება წარმოადგენს. დასკვნაში შეჯამებული უნდა იყოს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებებთან დაკავშირებული დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცებისა და განხორციელების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ხარისხის კონტროლის ობიექტი სგშ-ს ანგარიშია, მნიშვნელოვანია სგშ-ს მთლიანი პროცესის განხილვა, რომელიც მოიცავს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში სგშ-ს მოსაზრებების გათვალისწინების მეთოდს, და ა.შ. ასეთი მიდგომით ხარისხის შემოწმება წარმოადგენს არა მარტო სგშ-ს ანგარიშის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფორმალურ შემოწმებას, არამედ იმ კონკრეტული რჩევების გაკეთების შესაძლებლობასაც, რომლებიც გათვალისწინებული იქნება სგშ-ს დასკვნით ეტაპებზე. დანართი 5-ში წარმოდგენილია ხარისხის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ექსპერტთა კომისიამ სგშ-ს ანგარიშის შემოწმების დროს (იხ. დანართი 5).

4.5 სგშ-ის ანგარიშზე და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების გაცემა

მიზანი და დანიშნულება

რეკომენდაციებში შეჯამებულია უნდა იყოს სგშ-ს პროცესის შედეგები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის დამკტიცების დროს. სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს სამინისტროსა და ჯანდაცვს სამინიტროს მიერ სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სგშ-ის ანგარიშზე რეკომენდაციების მომზადება და სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ სამინისტროების მიერ რეკომენდაციების გაცემის შემდგომ.

სამართლებრივი მოთხოვნები:

სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის, სგშ-ს ანგარიშის, კონსულტაციების შედეგებისა და საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო განცხადების რეგისტრაციიდან არანაკლებ 51 (ორმოცდათერთმეტი) და არაუმეტეს 55 (ორმოცდათხუთმეტი) დღის ვადაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ რეკომენდაციებს სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით. სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო აღნიშნულ რეკომენდაციებს დამგეგმავ ორგანოს უგზავნიან მათი გაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები ძალაშია 10 (ათი) წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციების გაცემიდან 10 (ათი) წლის ვადაში სტრატეგიული დოკუმენტი არ იქნება მიღებული/დამტკიცებული, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია ხელახლა განახორციელოს ამ თავით გათვალისწინებული პროცედურები.

4.5.1 რეკომენდირებული მიდგომა

საბოლოო რეკომენდაციების მომზადების დროს მნიშვნელოვანია სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა. სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპების მსგავსად, საჭიროა შეხვედრის ორგანიზება სგშ-ს თაობაზე მოსაზრებების განსახილველად და საბოლოო რეკომენდაციების შესამუშავებლად (რომლებსაც ფორმალურად თითოეული სამინისტრო დამოუკიდებლად გასცემს).

სგშ-ს ანგარიშზე გაცემულ რეკომენდაციებში გასათვალისწინებელი საკითხები:

- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებების მიმოხილვა
- შერბილების ძირითადი ღონისძიებების მიმოხილვა
- სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბების და/ან დამტკიცების და/ან განხორციელების დროს გასათვალისწინებელი პირობები
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედებების მხედველობაში მიღებით:

  1. შესაძლებელია რეკომენდებული იყოს სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება;

  2. შესაძლებელია რეკომენდებული იყოს სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება გარკვეული პირობებით (მაგ., გეგმაში/პროგრამაში უნდა განხორციელდეს გარკვეული ცვლილება, უნდა განისაზღვროს განხორცილების პირობები და სხვ.);

  3. სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცება არ არის რეკომენდებული - ასეთ შემთხვევაში განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, თუ რა არის გამოსასწორებელი და დასამუშავებელი სტრატეგიულ დოკუმენტში. ეს შემთხვევა საჭიროებს როგორც თავად სტრატეგიული დოკუმენტის ცვლილებას ასევე, სგშ-ს ანგარიშის ადაპტირებას (სგშ-ს ანგარიშის სტრატეგიული დოკუმენტის ახალ ვერსიასთან შესაბამისობაში მოყვანას, კონსულტაციების განმეორებით ჩატარებას, ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფას).

05 სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება

5.1 მიზანი და დანიშნულება:

სგშ-ს მთავარი დანიშნულებაა

სტრატეგიულ დოკუმენტსა და მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინების უზრუნველყოფა. ზოგადად, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების დროს, მის მიღებამდე, დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იქნეს სგშ-ს დასკვნები, კონსულტაციების შედეგების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების დროს სათანადოდ იქნა გათვალისწინებული სგშ-ს დასკვნები, სგშ-ს პროცესის დასკვნითი ეტაპის მიზანი იქნება გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის კუთხით იმ მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცებასთან. სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების დროს გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ სგშ-ს ანგარიშის დასკვნები, აგრეთვე შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, გარემოსა და ჯანდაცვის ორგანოებსა და საზოგადოებასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგები. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილებისა და სგშ-ს შედეგების გათვალისწინების შესახებ.

სამართლებრივი მოთხოვნები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება შესაძლებელიასამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიულ დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე რეკომენდაციების გაცემის შემდგომ.

დიაგრამა 5. სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცება



უარყოფითი რეკომენდაციების შემთხვევაში, დამგეგმავი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს დამატებითი კონსულტაციების წარმოება სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან სტრატეგიულ დოკუმენტში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად[23].

სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოოდ მიღებამდე/დამტკიცებამდე დამგეგმავი ორგანო ვალდებულია სათანადოდ გაითვალისწინოს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე გაცემული რეკომენდაციები, სგშ-ს ანგარიშის ფარგლებში ჩატარებული კონსულტაციები და საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ს პროცესში ჩატარდა გარემოზე ტრანსასაზღვრო ზემოქმედების პროცედურები, სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების დროს სავალდებულოა აღნიშნული პროცედურის შედეგების გათვალისწინება.

გადაწყვეტილებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების შესახებ თან უნდა- დაერთოს შესაბამისი დასაბუთება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

23. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 28

როგორ მოხდა კომენტარების მიღება და მიღებული შენიშვნების/კომენტარების გათვალისწინება; სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები, სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების პროცედურის შედეგები, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში დაგეგმილი მონიტორინგის ღონისძიებები და ანგარიშგება და სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში - სამინისტროს მიერ რეკომენდებული მონიტორინგის ღონისძიებები და ანგარიშგება[24].

5.1 რეკომენდირებული მიდგომა

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, უარყოფითი რეკომენდაციების მიღების შემთხვევაში დამგეგმავმა ორგანომ უნდა მიმართოს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს და რეკომენდაციების გათვალისწინებით იმსჯელოს შედგომ მოქმედებებზე. თუ რეკომენდაციები სტრატეგიულ დოკუმენტში უმნიშვნელო ცვლილებებს ითხოვენ, შესაძლებელია მათი გათვალისწინება და სტრატეგიული დოკუმენტის წარდგენა დასამტკიცებლად. ხოლო, თუ სგშ-ს რეკომენდაციები ითხოვენ სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელოვან ცვლილებას, საჭირო იქნება სგშ-ს პროცესში მონაწილე კონსულტანტებისგან რჩევების მიღება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს სგშ-თან დაკავშირებული რეკომენდაციების ოპტიმალურად ინტეგრირება სტრატეგიულ დოკუმენტში (სგშ-ს ანგარიშის შესაბამისად).
- სასურველია გადაწყვეტილების მიმღები პირების ინფორმირება სგშ-ს შედეგებისა და რეკომენდაციების შესახებ სგშ-ს პროცესის მიმდინარეობის დროს, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია სტრატეგიულ დოკუმენტში შესატანი შესაძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ;
- გარდა ამისა, სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო ვერსიისა და სგშ-ს ანგარიშის დასამტკიცებლად წარდგენამდე შესაძლებელია შეხვედრის მოწყობა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან იმის ასახსნელად, თუ როგორ არის სგშ-ს რეკომენდაციები ინტეგრირებული სტრატეგიულ დოკუმენტში.
- დასაბუთება უნდა მომზადდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 28-ე მუხლისმე-5-ის შესაბამისად. ამისათვის შესაძლებელია სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოსული კომენტარებისა და მათზე რეაგირების ცხრილის გამოყენება - საჭიროა მისი განახლება ხარისხის კონტროლის შედეგებისა და სტრატეგიული დოკუმენტისა და/ან სგშ-ს ანგარიშის საბოლოო შესწორებების საფუძველზე.
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით’ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების გარდა, რეკომენდებულია, რომ დამგეგმავმა ორგანომ, სამინისტრომ და ჯანდაცვის სამინისტრომ უშუალოდ აცნობონ სგშ-ს პროცესში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ელექტრონული საშუალებებით ან ფოსტით. ასევე რეკომენდებულია საზოგადოების ინფორმირების სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებაც, როგორიცაა, მაგ., ადგილობრივი გაზეთები ან სხვა მედია საშუალებები (რადიო), მუნიციპალური საინფორმაციო ბიულეტენები და სხვ.

24. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 28

06 მონიტორინგი

მიზანი და დანიშნულება:

სგშ აფასებს იმ მნიშვნელოვან ზემოქმედებებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს. თუმცა, იმის გამო, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას შეიძლება შედარებით დიდი დრო დასჭირდეს (მაგ., 15-20 წელი), სგშ-ს მიერ შეფასებული ზემოქმედებები შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ზემოქმედებებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ - ტერიტორიაზე არსებული პირობები შეიძლება შეიცვალოს, ასევე შეიძლება შეიცვალოს გეგმის/პროგრამის განხორციელების თავდაპირველი სქემა და ა.შ.

აქედან გამომდინარე, მინიტორინგმა უნდა დაადგინოს, შედარებულია თუ არა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული რეალური ზემოქმედებები პროგნოზირებულ ზემოქმედებებთან და მიღებულია თუ არა სათანადო ზომები რაიმე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და მონიტორინგის სქემის ნაწილს წარმოადგენს იმის კონტროლი, დაცული და შესრულებულია თუ არა (და როგორ) სგშ-ში განსაზღვრული პირობები.

სამართლებრივი მოთხოვნები:

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგი განსაზღვრულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 29-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მნიშვნელოვანი ზემოქმედების მონიტორინგს ახორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, სამინისტრო, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მონიტორინგის შედეგებს საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს[25].

25. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 29

6.1 პრაქტიკული რჩევები

მონიტორინგის სქემის შემუშავება:

ჩვეულებრივ, მონიტორინგის სქემა მოცემულია სგშ-ს ანგარიშში. უნდა აღინიშნოს, რომ სგშ-ს ფარგლებში განსაზღვრული მონიტორინგი განსხვავდება გზშ-ს ფარგლებში განსაზღვრული მონიტორინგისაგან, რომელიც პროექტებს ეხება. მთავარი გამოწვევა მდგომარეობს იმაში, რომ სტრატეგიული დაგეგმარების დონეზე, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ძნელია (შეუძლებელიც კი) მონიტორინგს დაქვემდებარებულ კონკრეტულ სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე) ზემოქმედებებისა და სხვა საქმიანობებით გამოწვეული ზემოქმედებების ერთმანეთისაგან გარჩევა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმამ შეიძლება ზემოქმედება იქონიოს წყლის ხარისხზე, თუმცა, არსებობს წყლის დაბინძურების სხვა წყაროებიც, რომლებიც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე სოფლის მეურნეობა (მუნიციპალური ჩამდინარე წყლები, ნარჩენების არასწორი მართვა, და სხვ.). აქედან გამომდინარე, წყლის ხარისხის შესახებ მხოლოდ ზოგადი მონაცემების საფუძველზე ძალიან ძნელია სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმასა და წყლის ხარისხის ცვლილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. აღნიშნული პრობლემა ძირითადად ეხება ფართომასშტაბიან სტრატეგიულ დოკუმენტებს, უფრო კონკრეტული და/ან მცირემასშტაბიანი გეგმების (მაგ., ადგილობრივი სივრცითი გეგმები) მონიტორინგის დროს ეს საკითხი უფრო ადვილად მოგვარებადია.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს მონიტორინგის მარტივ მიდგომებს. განსაკუთრებით, ფართომასშტაბიანი სტრატეგიული დოკუმენტების შემთხვევაში, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის ზოგადი მონიტორინგი უფრო ეფექტიანია, ვიდრე მწირ ან არასანდო მონაცემემებზე დამყარებული მონიტორინგის რთული სქემა, რომელიც, სავარაუდოდ, არასწორ შედეგებამდე მიგვიყვანს.

მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს სგშ-ში განხილული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი საკითხები და, შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებები. სგშ-ში წარმოდგენილი მონიტორინგის სქემის მიზანს არ წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პარამეტრის მონიტორინგი. მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც შეიძლება მოექცნენ მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ. ასეთი ასპექტებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ინდიკატორები - მაგ., თუ ტრანსპორტის შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ჰაერის ხარისხი, ინდიკატორები ტრანსპორტთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი დამაბინძურებლებისათვის (NOx, PM10/PM2.5, ბენზო(ა)პირენი და სხვ.) უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე, გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ინდიკატორები: PM10-ის საშუალო წლიური დონეები (μg/m3), PM2.5-ის საშუალო წლიური დონეები (μg/m3), ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის წლიური კონცენტრაციები (μg/m3), ტყვიის დონე სისხლში, განსაკუთრებით - ბავშვებში (μg/დლ). ასევე. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მონიტორინგის არსებული სქემები და მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგთან ერთად, უნდა შემუშავდეს სქემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სგშ-ს რეკომენდაციები დაცვისა და შესრულების კონტროლი.

მონიტორინგის სქემის შემუშავების დროს, დამგეგმავმა ორგანომ სქემის შემოთავაზებული ვარიანტები უნდა განიხილონ სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან, რათა

უზრუნველყოფილ იქნეს მათ მიერ შემოთავაზებული სქემის „რეალისტურობა“ და მონიტორინგის არსებული სქემების მაქსიმალურად გამოყენება.

სგშ-ს პროცესში განსახორციელებელი მონიტორინგის ღონისძიებები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

- კონსულტანტები წარმოადგენენ მონიტორინგის სქემის საწყის ვარიანტს;
- მონიტორინგის სქემის საწყისი ვარიანტი განხილულ უნდა იქნეს დამგეგმავ ჯგუფთან ერთად სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგის სქემასთან მისი მიბმის მიზნით;
- აუცილებელია კონსულტაციები სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან მონიტორინგის სქემის საწყის ვარიანტთან დაკავშირებით მონიტორინგის პროცესში მათი როლების განსაზღვრის, მონაცემების ხელმისაწვდომობისა და სხვა საკითხების განხილვის მიზნით;
- კონსულტაციების შედეგების საფუძველზე კონსულტანტები ასრულებენ მონიტორინგის სქემას (და შეაქვთ ის სგშ-ს ანგარიშში);
- მონიტორინგის სქემა ქვეყნდება სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ.

მონიტორინგის განხორციელება და ანგარიშგება

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ახორციელებს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად ზემოქმედებების მონიტორინგს. სასურველია ჯანდაცვის სამინისტროს ჩართვა (ან, სულ მცირე, ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაცია) ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების მონიტორინგში. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, სამინისტრო ამზადებს და აქვეყნებს მიმდინარე მონიტორინგის ანგარიშებს (რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის). მონიტორინგის ანგარიშები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ინფორმაციას:

- რას ეხება მონიტორინგი (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები შესაბამისი ინდიკატორებით);
- როგორ შეიცვალა სიტუაცია, ანუ რა ზემოქმედებები დაფიქსირდა. აღნიშნული შეიძლება აღიწეროს როგორც რაოდენობრივად (მაგ., ჰაერის ხარისხი), ასევე ხარისხობრივად (მონაცემების არარსებობის შემთხვევაში);
- რა კავშირშია ცვლილებები სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებასთან;
- დასკვნები, ანუ საჭიროა თუ არა რაიმე ქმედებების განხორციელება, საჭიროა თუ არა მონიტორინგის სქემის რაიმე სახის კორექტირება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია გარემოს ხარისხსა და/ან მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას შორის კავშირის დადგენა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში (იმ კონკრეტული პროექტების განხორციელების პროცესშიც, რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს) სგშ-ს ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა. ამაზე პასუხისმგებელი, პირველ რიგში, არის დამგეგმავი ორგანო ან/და საქმიანობის განმახორციელებელი. სამინისტრო ჩართული უნდა იყოს კონტროლსა და მონიტორინგში.

სასურველია, რომ სტრატეგიული დოკუმენტის განმახორციელებელმა ორგანომ მოამზადოს მოკლე მიმდინარე (წლიური) ანგარიშები სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. ანგარიში შეიძლება მომზადდეს მარტივი მა-

ტრიცის სახით, როგორც ეს დანართი 6-შია ნაჩვენები (იხ. დანართი 6).

რეაგირება გაუთვალისწინებელ ზემოქმედებებზე

გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შემთხვევაში, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა დამგეგმავმა ორგანომ უნდა მიიღოს ზომები ამ ზემოქმედებების გამოსასწორებლად. აღნიშნული ზომები უნდა შეთანხმდეს სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სგშ-ს ანგარიშით განსაზღვრული შერბილების ზომების გადახედვა, განსაკუთრებით სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პირობების კუთხით. მაგ., უნდა შეიცვალოს ტერიტორია, სადაც არ შეიძლება გარკვეული პროექტების განხორციელება, უნდა შეიცვალოს პროექტების ტიპი, და ა.შ.;
- გამოსწორების სპეციალური ზომების შემუშავება და მიღება;
- სტრატეგიული დოკუმენტის გადახედვის ინიცირება, ანუ დაგეგმვის ახალი ციკლის დაწყება.

07 საზოგადოების მონაწილეობა

სამართლებრივი მოთხოვნები:

საზოგადოების მონაწილეობას ეძღვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მთლიანი IV თავი. მასში განსაზღვრულია საზოგადოების მონაწილეობის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის ეტაპები, საშუალებები და მექანიზმები. აღნიშნული პროცესი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გეგმისა ან პროგრამის დამტკიცების პროცესში გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხარისხის უზრუნველყოფაში, ეხება როგორც გზშ-ს, ასევე სგშ-ს.

საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრულ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო დამგეგმავ ორგანოებს აქვთ აღნიშნული პროცესის უზრუნველყოფის კონკრეტული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები[26].

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განსაზღვრულია საზოგადოებისა კონსულტაციებში ჩასართავად საჭირო ინფორმირების საშუალებები და მექანიზმები. ჩამოთვლილია საზოგადოების ინფორმირების საშუალებები, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთში, რომელიც შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიის ფარგლებში ფართოდ არის გავრცელებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის და/ან საზოგადოების უმრავლესობისათვის, აგრეთვე ინფორმაციის განთავსება შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს ადგილობრივი ვებ-გვერდებსა და საინფორმაციო დაფებზე, მათ შორის ისეთ საშუალებებზე, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგ., ავტობუსის გაჩერებებზე, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, სავაჭრო ცენტრებში, საფოსტო განყოფილებებში და საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილებში არსებულ საინფორმაციო დაფებზე[27].

გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საფასურის გარეშე უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს იმ ინფორმაციის ფარგლები, რომელიც საჭიროა საზოგადოების ეფექტიანი ინფორმირებისათვის და ინფორმაცია განთავსდეს სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და დამგეგმავი ორგანოს ოფიციალურ ვებ გვერდზე, ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაბეჭდი ეგზემპლარების ხელმისაწვდომობა საჯარო განხილვის დროს[28].

კონსულტაციების პროცესში საზოგადოების ეფექტიანად ჩასართავად, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება საჯარო განხილვის მიზნების,

---

26 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 31

27 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 32

28 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 33

დროის, ადგილისა და საჭირო დოკუმენტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ. საჯარო განხილვა ღიაა და ნებისმიერ პირს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში. საზოგადოებას უფლება აქვს წარადგინოს კომენტარები, მოსაზრებები და შენიშვნები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზედაც ხდება გადაწყვეტილების მიღება. კომენტარების, მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენა შესაძლებელია წერილობით, ზეპირად საჯარო განხილვის დროს, რომელიც აისახება საჯარო განხილვის ოქმში[29].

გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გაეცნოს საზოგადოების მიერ კონსულტაციების პროცესში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და გაითვალისწინოს ის შენიშვნები ან მოსაზრებები რომელიც არგუმენტირებული და დასაბუთებულია, ან სათანადოდ ასახოს საზოგადოების მონაწილეობის შედეგები ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებაში. გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროსა და დამგეგმავი ორგანოს ვებ-გვერდებზე და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საზოგადოებისათვის მისი ხელმისაწვდომობა მოთხოვნის საფუძველზე საფასურის გარეშე[30].

საზოგადოებას, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სგშ-ს პროცესის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა, ან სათანადოდ არ გაითვალისწინა საზოგადოების აზრი[31].

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საზოგადოების მონაწილეობასა და ჩართულობას სგშ-ს პროცესის თითქმის ყველა ეტაპზე ითვალისწინებს. კერძოდ, საზოგადოებასთან კონსულტაციები ტარდება სკრინინგის, სკოპინგის, სგშ-ს მომზადებისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპებზე. საზოგადოების მონაწილეობა ნიშნავს საზოგადოების ინფორმირებას და საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემას ადრეული ეტაპებიდანვე, მისთვის მოსახერხებელი სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. პარალელურად, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დოკუმენტურად და დასაბუთებულად ასახოს საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცესში გამოთქმული მოსაზრებები და კომენტარები ხოლო არგუმენტირებული კომენტარები გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესის ორგანიზებას დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფს.

7.1 პრაქტიკული რჩევები

დაინტერესებული მხარეების კონსულტაციისა და მონაწილეობის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კონცენტრირება იმ ძირითად დაინტერესებულ მხარეებზე, რომლებიც დაინტერესებული არიან სტრატეგიული დოკუმენტით, ან შეიძლება მოექცნენ მისი განხორციელების ზემოქმედების ქვეშ. კონსულტაციების საშუალებით კონსულტანტები იღებენ იმ დამატებით ინფორმაციისა და მონაცემებს, რომელიც მათ ეხმარება კვლევების ჩატარებასა და/ან გეგმის/პროგრამის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით უფრო დახვეწილი ალტერნატივების შემუშავებაში.

დაინტერესებული მხარეების შემდეგი ძირითადი ჯგუფები რომელთანაც უნდა გაიმართოს კონსულტაციები და/ან უზრუნველყოფილი იყოს სგშ-ს პროცესში მათი ს ჩართულობა:

29 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 34

30 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 35

31 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, თავი IV, მუხლი 36

- გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები;
- საზოგადოება (არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით);
- სხვა დაინტერესებული მხარეები, მაგ., სამთავრობო უწყებები, უნივერსიტეტები, კავშირები და სხვ.;
- უცხო ქვეყნები (მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში).

სხვადასხვა სგშ-ს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ჰყავს, ასევე განსხვავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სგშ-ს სხვადასხვა ეტაპებზე. აღნიშნული დამოკიდებულია გეგმის/პროგრამის ხასიათსა და შინაარსზე, ძირითადი საქმიანობების სახესა და ადგილმდებარეობაზე, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და სგშ-ს პროცესის ორგანიზების თავისებურებაზე.

რეგიონული და ადგილობრივი დონის დეტალური გეგმების სგშ (მაგ., მიწათსარგებლობის გეგმები) კარგად ფორმულირებული ღონისძიებებითა და საქმიანობებით, როგორც წესი, უფრო მეტად იზიდავს ადამიანებს, ვიდრე ისეთი ზოგადი ეროვნული სტრატეგიების სგშ, რომლებიც შეიძლება ზედმეტად აბსტრაქტული იყოს და არ იყოს დაკავშირებული „ყოველდღიურ ცხოვრებასთან“.

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის და მათი მონაწილეობის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, მათი ჩართულობის მიზნის დადგენა, კონსულტაციისა და მონაწილეობის საშუალებების შერჩევა და ღონისძიებების სათანადო დაგეგმვა სგშ-ს პროცესის დასაწყისში. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხშირად თავად დაგეგმვის პროცესიც შეიცავს დაინტერესებული მხარეების ჩართვის ღონისძიებებს. ამიტომ, სასურველია, რომ სგშ-ს ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის და მათი მონაწილეობის პროცესი წარიმართოს დაგეგმვის პროცესში განსახორციელებელ ღონისძიებებთან ერთობლივად, რათა არ მოხდეს სგშ-სა და დაგეგმვის პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დუბლირება.

სგშ-ს პროცესის დაწყებისთანავე, სგშ-ზე მომუშავე ჯგუფმა უნდა მოახდინოს იმ ეტაპებისა და კვლევების იდენტიფიცირება, რომლებისთვისაც დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ყველაზე მეტად სასარგებლო იქნება. ჩვეულებრივ, ეს პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

- შეფასების ფარგლების დადგენა (გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც კავშირშია სტრატეგიულ დოკუმენტთან);
- ფონური ინფორაცია;
- გარემოსა და ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასება;
- გარემოსა და ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილების ან შერბილების და დადებითი ზემოქმედებების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- სგშ-ს ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიის მომზადება.

დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოს სგშ-ს შესახებ საბოლოო განცხადებისა და გეგმის/პროგრამის დამტკიცების თაობაზე, ასევე მათ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა სგშ-ს დასკვნების გათვალისწინება გეგმაში/პროგრამაში და მისი დამტკიცების პროცესში.

არსებობს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციისა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მრავალი საშუალება და მეთოდი. მათი შერჩევა ხდება სტრატეგიული დოკუმენტის ხასიათის მიხედვით. სგშ-ში, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი საშუალებები და მეთოდები:

- საჯარო განხილვები;
- საჯარო სემინარები და შეხვედრები;
- არაფორმალური ჯგუფური შეხვედრები (ფოკუს ჯგუფები);
- დაგეგმვის მიზნით ადგილზე ჩატარებული გასვლები;
- შესაბამისი დოკუმენტების გასაჯაროვება სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებსა და/ან საინფორმაციო დაფებზე;
- პრეს-რელიზები და მიმართვა კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების თხოვნით;
- კითხვარები და ანკეტები;
- აზრის გამოკითხვა;
- ინფორმაციის გავრცელება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო განხილვებმა ან კითხვარებმა, რომლებიც ხშირად გამოიყენება სგშ-ს ფარგლებში საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესში, შეიძლება სასურველი შედეგები არ გამოიღოს. სგშ-ს პროცესში დაინტერესებული მხარეებისგან მოსაზრებების მიღების უფრო ეფექტიან და მოსახერხელ საშუალებად ითვლება პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სემინარები, მრგვალი მაგიდები, მრჩეველთა საბჭოები და სტრუქტურირებული ინტერვიუები.

აქედან გამომდინარე, სასურველია კონსულტირების სხვა მეთოდების გამოყენება იმ საშუალებებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“. სგშ-ს ფარგლებში კონსულტაციების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები:

- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გეგმა უნდა მომზადდეს სგშ-ს პროცესის დასაწყისში (მაგ., სკოპინგის ეტაპზე);
- სგშ-ს პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დაგეგმვის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დაგეგმვის პროცესში ჩასატარებელი კონსულტაციებიც;
- ყოველთვის აუცილებელია რეაგირება შემოსულ კომენტარებზე, კერძოდ, როგორ მოხდა ან მოხდება სგშ-ში მათი გათვალისწინება, ან დასაბუთების მომზადება მათი უარყოფის შემთხვევაში;
- სგშ-ს ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს კონსულტაციების პროცესში ჩატარებული ღონისძიებები და ძირითადი კომენტარები. ასევე, აღწერილ უნდა იქნეს, თუ როგორ მოხდა მათი გათვალისწინება შეფასებაში.

08 გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა

განმარტება:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, „ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება არის ნებისმიერი ზემოქმედება საქართველოს ან უცხო ქვეყნის გარემოზე, რომელიც გამოწვეულია დაგეგმილი საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელების შედეგად“[32]. აქედან გამომდინარე, ისეთი სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები გამოიწვიოს, უნდა განხორციელდეს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

მიზანი და დანიშნულება:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა უზრუნველყოფს შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქვეყნების საზოგადოებისა და გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის უწყებების მოსაზრებების გათვალისწინებას სგშ-სა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ასევე მათ ინფორმირებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათ მიერ წარმოდგენილი კომენტარები.

სამართლებრივი მოთხოვნები:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად (მე-19-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) აუცილებელია სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელება საჭიროების შემთხვევაში. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ასევე ადგენს, რომ სკოპინგმა უნდა „გამოკვეთოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება“ და სკოპინგის ანგარიშში და სგშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს „ინფორმაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ“. დიაგრამაზე წარმოდგენილია გარემოზე ტრანსსასაზღვრო შემქმედების შეფასების პროცედურა (იხ. დიაგრამა 6)

---

32 „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 3, პუნქტი 25

დიაგრამა 6. გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურული ეტაპები



„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 39-ე მუხლის თანახმად, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს დამგეგმავი ორგანო ანაზღაურებს. დამგეგმავი ორგანო უფლებამოსილია ჩაერთოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შესწავლასა და შესაბამისი დოკუმენტების თარგმნასთან, თუმცა ეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ მკაფიოდ აღნიშნული არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 39-ე მუხლის თანახმად, ტრანსსასაზღვრო პროცედურის ფარგლებში დამგეგმავი ორგანო ვალდებულია:

- სკრინინგის ან სკოპინგის განცხადებაში ზუსტად მიუთითოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ;
- სგშ-ს ანგარიშში სათანადოდ შეაფასოს გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება;
- უზრუნველყოს დოკუმენტაციის სათანადო თარგმნა და ნათარგმნი დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმება;
- უზრუნველყოს სათანადო თარგმანი საჯარო განხილვის დროს, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დასწრების შემთხვევაში;
- საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელებისას უზრუნველყოს სამინისტროსათვის შესაბამისი დახმარების გაწევა.

ზოგადად, სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარებაზე. სამინისტრო ასევე ვალდებულია, უზრუნველყოს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

გარდა ამისა, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3პუნქტის თანახმად, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შემდგომ, სამინისტრო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ატარებს კონსულტაციებს იმ სახელმწიფოსთან, სადაც დაგეგმილია პროექტისა ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება[33].

ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/დამტკიცების პროცესში, რომელიც იწვევს გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას, სავალდებულოა ტრანსსასაზღვრო პროცედურის შედეგების გათვალისწინება[34] . ასეთ შემთხვევაში სტრატეგიული დოკუმენტის მიღების/დამტკიცების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს აღწერა იმისა, თუ როგორ მოხდა გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შედეგების გათვალისწინება[35].

33 *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 41, პუნქტი 3*

34 *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 28*

35 *„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, მუხლი 28*

8.1 პრაქტიკული რჩევები

- სასურველია, რომ ტრანსსასაზღვრო კონსულტაციის ვადები ფიქსირებული არ იყოს და დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის (მოსალოდნელი ზემოქმედებების მასშტაბებისა და მნიშვნელობის, მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტრანსსასაზღვრო ტერიტორიის ფართობისა და ა.შ. საფუძველზე). მაგალითად, შესაძლებელი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე კომენტარების წარდგენის ვადების გაზრდა იმ შემთხვევებში, თუ ადგილი ექნება ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებს.
- სამოცი დღე შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ ვადად შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქვეყნის მხრიდან ტრანსსასაზღვრო პროცედურაში მონაწილეობის შესახებ თანხმობის მისაღებად.
- სკოპინგის დასკვნა (შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში) უნდა შეიცავდეს ტრანსსასაზღვრო პროცედურის დეტალებს (მაგ., კონსულტაციების ფარგლებს, ვადებს, და სხვ.).
- ვინაიდან ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების ჩატარება მოითხოვს ინტენსიურ კომუნიკაციას სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დამგეგმავ ორგანოს შორის, სასურველია შეხვედრის ჩატარება (მას შემდეგ, რაც სკოპინგის ანგარიში გამოკვეთს სგშ-ს ანგარიშში განსახილველ შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებებს) და ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების პრაქტიკული ასპექტების - ვადები, თარგმნა, კომუნიკაცია უცხო ქვეყანასთან და სხვ. - განხილვა.
- ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების პროცესის დასაწყისში სამინისტრომ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უნდა ჩაატაროს შეხვედრა შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქვეყნის შესაბამის წარმომადგენლებთან. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)[36] განსაზღვრავს საკითხებს, რომლების განხილულ და განხორციელებულ უნდა იქნეს სახელმწიფოების მიერ ერთობლივად:
- რომელია დაინტერესებული საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით;
- როგორ უნდა ჩატარდეს კონსულტაციები, ვადებისა და შეტყობინების საშუალებების ჩათვლით;
- სგშ-ს საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა ორივე ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით;
- რა მასალების ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს ზემოქმედების წარმომქმნელმა სახელმწიფომ და როდის;
- დოკუმენტების თარგმნა, ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფა შეხვედრებზე და/ან შეხვედრების ჩატარება ისეთი თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ქვეყნის ძირითად ენას;
- როგორ უნდა გადაწყდეს კულტურასთან, მარგინალურ ჯგუფებთან, და ა.შ. დაკავშირებული საკითხები;
- საზოგადოების მიერ კომენტარების მოწოდებისთვის ვადების დადგენა ისე, რომ ი-

36 გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2016: რეკომენდაციები სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში საზოგადოების სათანადო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად: http://www.unece.org/index.php?id=42234

სინი რეალისტური იყოს როგორც მონაწილეებისთვის, ასევე დამგეგმავი ორგანოებისთვის, და ითვალისწინებდეს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ დღესასწაულებს;

- როგორ მოხდება სახელმწიფოების ინფორმირება კონსულტაციების შედეგებისა და მათი გამოყენების შესახებ.
- ფორმალური და სავალდებულო ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები უნდა გაიმართოს მას შემდეგ, რაც მომზადდება სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსია და სგშ-ს ანგარიში, თუმცა, სასურველია „არაფორმალური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების“ სგშ-ს პროცესის ადრეულ ეტაპებზე დაწყება. მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახელმწიფოებთან დაკავშირება შესაძლებელია სკოპინგის ეტაპზე ან სგშ-ს ანგარიშის დასრულებამდე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ მათი მოსაზრებების გასაგებად. ამ გზით შესაძლებელი იქნება მათი პოზიციების გათვალისწინება სგშ-ს ანგარშში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პოტენციური პრობლემების მოგვარებას „ოფიციალური კონსულტაციების“ დაწყებამდე, რომლებიც ამის შემდეგ „უმტკივნეულოდ“ მიმდინარეობს.
- სასურველია, რომ საექსპერტო კომისიამ საექსპერტო დასკვნის მომზადების დროს გაითვალისწინოს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შედეგები. აქედან გამომდინარე, ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საექსპერტო კომისიის წევრის (წევრების) მონაწილეობა.

09 სგშ-ს ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა პრაქტიკული რჩევები

წინამდებარე თავებში წარმოდგენილია რეკომენდაციები და პრაქტიკული რჩევები სგშ-ს პროცესის მართვასა და კოორდინაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციებით და პრაქტიკული რჩევებით შეუძლიათ იხელმძღვანელონ როგორც დამგეგმავმა ორგანოებმა, ასევე კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ზე პასუხისმგებელმა საჯარო ორგანიზაციებმა.

სგშ და დაგეგმვის პროცესი

სგშ წარმოადგენს სტრატეგიულ დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საშუალებას. აქედან გამომდინარე, სგშ-ს შედეგები მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში. ამისათვის აუცილებელია, რომ სგშ-ს პროცესი დაკავშირებული იყოს დაგეგმვის პროცედურასთან. სგშ-ს პროცესის ასეთი კონფიგურაცია ხელს უწყობს დამგეგმავებსა და სგშ-ს გუნდს შორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, რითაც უზრუნველყოფს სგშ-ს შესაბამისობას და თავსებადობას სტრატეგიული დოკუმენტის სპეციფიკურ ხასიათთან. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრულია რიგი სამართლებრივი მოთხოვნები სგშ-ს ძირითად ეტაპებსა და დაგეგმვის პროცესს შორის. თუმცა, სამართლებრივი მოთხოვნების გარდა, კიდევ არსებობს რიგი მიზეზები, რის გამოც აუცილებელია მაქსიმალურად მჭიდრო კოორდინაცია სგშ-სა და სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების დაგეგმვას შორის.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სგშ-ს პროცესი იქნება წარმატებული და ეფექტიანი იმ შემთხვევაში, თუ ის [37]:

- უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების სათანადოდ გათვალისწინებას. სგშ-ს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს სტრატეგიულ დოკუმენტში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციას, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გეგმისა ან პროგრამის მომზადების პროცესში

37 ადაპტირებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის განხორციელების ხელშეწყობის სახელმძღვანელოდან, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2012.

სგშ-ს დასკვნებისა და მიგნებების გათვალისწინების დროსა და ფორმაზე. ის სგშ, რომელსაც დროულად შეაქვს საკუთარი წვლილი სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში, ბევრად უფრო ეფექტიანიად მიმდინარეობს, ვიდრე დაგვიანებული (ა-ნუ, სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის შემდეგ ჩატარებული) ან დამოუკიდებელი შეფასებები.

- ეხმარება ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებებისა და ინტერესების გამოვლენას და ამით ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესის სანდოობას. ამგვარად მიმდინარე პროცესი ხელს უწყობს გონივრულ კამათს, პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ამაღლებას.
- უმიზეზოდ არ აჭიანურებს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და დამტკიცების პროცესს. სგშ-ს მოთხოვნების შესრულებას გარკვეული დრო სჭირდება, რომლის შემცირებაც შესაძლებელია დაგეგმვის პროცესში სგშ-ს სათანადოდ ორგანიზების საშუალებით.
- არ არის გაუმართლებლად ძვირადღირებული. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად სავალდებულო კვლევების ჩატარება და ანგარიშების მომზადება, ასევე დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარება დამატებით ხარჯებს მოითხოვს. თუმცა, ამ ხარჯების შემცირება შესაძლებელია, თუ სგშ ჩატარდება სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებასთან ერთად და მის მომზადებაში გამოყენებულ იქნება დაგეგმვის პროცესში მოპოვებულ მონაცემები და კვლევებისა და კონსულტაციების შედეგები.

ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სგშ-ს პროცესის ინიცირება სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ადრეულ ეტაპზე მოხდება და სგშ-ს კონკრეტული ეტაპები განხორციელდება დაგეგმვის პროცესის შესაბამისი ეტაპების პარალელურად. მხოლოდ ასეთ დროს იარსებებს ბმა სგშ-სა და დაგეგმარების პროცედურას შორის. ამ შემთხვევაში დამყარდება ინტენსიური კომუნიკაცია დამგეგმავებსა და სგშ-ს ჯგუფს შორის, რაც ხელს შეუწყობს სგშ-ს დაკვნებისა და მიგნებების სტრატეგიულ დოკუმენტში ინტეგრირებას მისი მომზადების პროცესში.

სასურველია, რომ დამგეგმავმა ორგანომ (სგშ-ს კონსულტანტებთან ერთად - მათი მონაწილეობის შემთხვევაში) სგშ-ს დაწყების წინ ჩაატაროს დაგეგმვის პროცესის ანალიზი. ამ წინასწარი ანალიზის მიზანია დაგეგმვის კონტექსტისა და დაგეგმვის ლოგიკური მიდგომის გააზრება იმ „პუნქტების“ გამოსავლენად, რომლებშიც სგშ-ს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. დაგეგმვის პროცესის ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- დაგეგმვის ძირითადი ეტაპები, საკვანძო ამოცანები და მათი თანმიმდევრობა
- სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ფარგლებში ჩასატარებელი გარემოსდაცვითი კვლევები
- ითვალისწინებს თუ არა დაგეგმვის პროცესი კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან.

დაგეგმვის პროცესის საწყისი ანალიზის დასკვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სგშ-ს სამუშაო გეგმისა და გრაფიკის შედგენის და სგშ-სთვის ტექნიკური დავალების მომზადების დროს (იხ. თავი ქვემოთ).

სგშ-ს კონსულტანტების მონაწილეობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ დამგეგმავ ორგანოებსს აკისრებს სტრატეგიული

დოკუმენტებისთვის სგშ-ს ჩატარების უზრუნველყოფის ვალდებულებას, ასევე პასუხისმგებლობას მათ ხარისხსა და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, შესაძლებელია „კონსულტანტის“ (კერძო პირის და/ან საკონსულტაციო კომპანიის) დაქირავება სკოპინგისა და სგშ-ს ანგარიშების მოსამზადებლად.

ზოგადად, სგშ-ს ჩატარება სამი შესაძლო გზით ხდება:

- სგშ ტარდება „საკუთარი ძალებით“, ანუ დამგეგმავი ორგანოს (მაგ., ტრანსპორტის სამინისტროს გარემოსდაცვითი დეპარტამენტი) საკუთარი ექსპერტების მიერ;
- სგშ-ს ახორციელებენ კონსულტანტები, რაც მოიცავს სკოპინგისა და სგშ-ს ანგარიშების მომზადებას, კონსულტაციების პროცესის კოორდინაციას, და ა.შ.;
- სგშ-ს კოორდინაციას ახორციელებს დამგეგმავი ორგანო, ხოლო კონსულტანტები ჩართულნი არიან გარკვეული ამოცანების შესასრულებლად (მაგ., კვლევები - ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლა, სკოპინგისა და/ან სგშ-ს ანგარიშის გარკვეული თავების მომზადება, და ა.შ.).

ვინაიდან სგშ-ს პრაქტიკა საქართველოსთვის ახალია, ამ ეტაზე ძნელია იმის თქმა, თუ რომელ გზას აირჩევს ქვეყანა, თუმცა სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში სგშ-ს განხორციელებაში ჩართული იქნებიან კონსულტანტები (იხ. მეორე და მესამე ვარიანტი ზემოთ). ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დამგეგმავ ორგანოს კარგად ჰქონდეს გააზრებული ის როლი, რომელსაც კონსულტანტები შეასრულებენ (ან უნდა შეასრულონ).

იმ შემთხვევაში, თუ დამგეგმავი ორგანო კონსულტანტის (კონსულტანტების) მოწვევის გადაწყვეტილებას მიიღებს, რეკომენდებულია მათი ჩართვა სგშ-ს პროცესის ადრეულ ეტაპზე იმისათვის, რომ კონსულტანტებმა შეძლონ წვლილის შეტანა სკრინინგის ეტაპზეც, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი მათი მონაწილეობა არის სკოპინგისა და სგშ-ს ანგარიშის მომზადების ეტაპებზე. სგშ-ზე ტენდერის გამოცხადების დროს, დამგეგმავმა ორგანომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კონსულტანტებისათვის ტექნიკური დავალებების მომზადებას. ტექნიკური დავალების მომზადების დროს გასათვალისწინებელი საკითხები მოცემულია დანართი 7-ში (დანართი 7). ზოგადად, კონსულტანტებმა შემდეგი საქმიანობა და ამოცანები უნდა შეასრულონ:

- მონაწილეობის მიღება სკრინინგის ფორმის შედგენაში, ძირითადად, სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი ზემოქმედებების კუთხით.
- სკოპინგის ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, რაც მოიცავს:
    - გარემოსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების გამოვლენას, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სგშ-ში, ასევე იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოცემული სტრატეგიული დოკუმენტისათვის მნიშვნელოვანი არ არის და შესაბამისად, მათი ანალიზი აუცილებლობას არ წარმოადგენს;
    - იმ შესაძლო ალტერნატივებისა ან ვარიანტების მონახაზის გაკეთებას, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სგშ-ში;
    - მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული განზომილების დადგენას;
    - ჩასატარებელი ანალიზისა და კვლევების და შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების მითითებას;
    - იმ დაინტერესებული მხარეების დადგენას, რომლებიც ჩართულ უნდა იქნენ

შემდგომ ეტაპებში (მათ შორის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სტრუქტურები და საზოგადოება).

- სგშ-ს ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, შესაბამისი კვლევების ჩატარებით, რაც მოიცავს:
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ფონური მდგომარეობის ანალიზს
  - მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასებას
  - შერბილების სათანადო ზომების ჩამოყალიბებას
  - მონიტორინგის სქემის შემუშავებას.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, მათ შორის საზოგადოების მონაწილეობის, კოორდინაცია სგშ-ს პროცესის განმავლობაში და მათ მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უზრუნველყოფა სკოპინგისა და/ან სგშ-ს ანგარიშებში.
- თანამშრომლობა და კოორდინაცია დამგეგმავ ჯგუფთან სტრატეგიულ დოკუმენტში სგშ-ს შედეგების სათანადოდ ასახვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ სგშ-ს პროცესთან დაკავშირებული ამოცანების უმეტესობის შესრულება კონსულტანტებს ეკისრებათ, სგშ-ს პროცესის წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლების ჩართულობა და მათ მიერ კოორდინაციისა და მართვის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს:

- სგშ-ს და დამგეგმავ ჯგუფებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობას
- აქტიურ მონაწილეობას დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პროცესში (მაგ., სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის წარდგენა საჯარო განხილვებზე)
- ოფიციალურ კომუნიკაციას სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან.

ალტერნატივების საკითხი სგშ-ში

სგშ-ს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ალტერნატივების განხილვა წარმოადგენს. სგშ-ს შეუძლია ისეთი ალტერნატიული ვარიანტებისა თუ სცენარების შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ ან გამორიცხავენ უარყოფით ზემოქმედებას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ გზით სგშ სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანობას ზრდის.

პრაქტიკული თვალსაზრისით, სგშ-მ შემდეგი ამოცანები უნდა შეასრულოს:

- სგშ-მ უნდა შეაფასოს და შეადაროს სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა ალტერნატივა;
- სგშ-მ უნდა განიხილოს „ნულოვანი სცენარი“, ანუ მოვლენების განვითარება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება და შეადაროს ის სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელ ზემოქმედებებს;
- სგშ-ს შეუძლია მისცეს რეკომენდაცია სტრატეგიულ დოკუმენტში გარკვეული ალტერნატივების გათვალისწინებასა ან გადაწყვეტილებების მიმღები პირების მიერ მათ განხილვასთან დაკავშირებით. რეკომენდაციები უნდა ემყარებოდეს მოსალოდნელი ზემოქმედებების შეფასებას;

- სგშ-ს შეუძლია შეიმუშაოს ალტერნატივები. ამისათვის აუცილებელია ინტენსიური თანამშრომლობა დამგეგმავ ჯგუფთან სტრატეგიულ დოკუმენტში სგშ-ში შემუშავებული ალტერნატივების ინტეგრირების უზრუნველსაყოფად.

სგშ-ს საფუძველზე დადგენილი ალტერნატივების აუცილებლობა (სკოპინგისა და შემდგომ, სგშ-ს ეტაპებზე) უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და მიბმული მოსალოდნელ ზემოქმედებაზე (მაგ., უნდა მოიძებნოს ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რადგან არსებულმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს დაცულ ტერიტორიას). სასურველია, რომ ამ სახის დისკუსია წარიმართოს როგორც სკოპინგის ეტაპზე, ასევე სგშ-ს ანგარიშის მომზადების დროსაც (იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატივების აუცილებლობა ამ ეტაპზე დადგება).

10 დანართები

დანართი 1. სკრინინგის ფორმის ნიმუში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მუხლი 78-ის მოთხოვნებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დებულებების გათვალისწინებით, წინამდებარე რეკომენდაციების/სახელმძღვანელო დოკუმენტის მიერ შემოთავაზებულია სკრინინგის სპეციალური ფორმა .

დანართი 1: სკრინინგის ფორმა

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება	
ინფორმაცია დამგეგმავი ორგანოს შესახებ: სახელწოდება და მისამართი	
სტრატეგიული დოკუმენტის დონე	ეროვნული/რეგიონული/მუნიციპალური (მონიშნეთ)
სტრატეგიული დოკუმენტის სტატუსი	განმარტეთ, წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ახალი დოკუმენტია, თუ წარმოადგენს არსებული სტრატეგიული დოკუმენტის სახეცვლილებას
სტრატეგიული დოკუმენტის სექტორი: ■ სოფლის მეურნეობა ■ სატყეო მეურნეობა ■ თევზჭერა ■ ენერგეტიკა ■ მრეწველობა ■ ტრანსპორტი ■ ნარჩენების მართვა ■ წყლის რესურსების მართვა ■ ელექტრონული კომუნიკაციები ■ ტურიზმი ■ დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა	(სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, ...)

სამართლებრივი ჩარჩო	(კანონი ან ნორმატიული აქტი, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისა და დამტკიცების საფუძველს)
გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	დაასახელეთ ის სახელმწიფო უწყება, რომელიც დაამტკიცებს სტრატეგიულ დოკუმენტს
ძირითადი პრიორიტეტები და ამოცანები	(სტრატეგიულ დოკუმენტში განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტებისა და ამოცანების მოკლე აღწერა)
ადგენს თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი ჩარჩოს სამომავლოდ განსახორციელებელი იმ საქმიანობებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან გზშ-ს?	დიახ/არა (აღწერეთ) (დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღწერეთ ის დაგეგმილი საქმიანობები/პროექტები, რომლებიც სავარაუდოდ დაექვემდებარებიან გზშ-ს)
განხორციელების სავარუდო მეთოდი	აღწერეთ, როგორ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება (მაგ., განხორციელების პერიოდი, დაფინანსების წყარო, განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი უწყება (უწყებები) და სხვ.)
სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირში მყოფი გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები	მოკლედ აღწერეთ სტრატეგიული დოკუმენტის მოქმედების ტერიტორიაზე არსებული გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები *(დამატებითი ინფორმაცია, მაგ., რუკები ან სქემები შეიძლება წარდგენილ იქნეს სკრინინგის ფორმის დანართების სახით)*
სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი ზემოქმედებები	გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზემოთ აღწერილი პრობლემების გათვალისწინებით, აღწერეთ, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს მათზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება *(დამატებითი ინფორმაცია, მაგ., რუკები ან სქემები შეიძლება წარდგენილ იქნეს სკრინინგის ფორმის დანართების სახით)*
განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ჩამოთვალეთ განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
განცხადების წარდგენის თარიღი	
განმცხადებლის ხელმოწერა	

დანართი 2: სკოპინგის ანგარიშის შესაძლო შინაარსი და სტრუქტურა:

რეზიუმე

- ▶ მოკლე ანოტაცია/რეზიუმე
- ▶ შესავალი
  - ანგარიშის მიზანი და ამოცანები
  - სკოპინგის მიდგომა
- ▶ სტრატეგიული დოკუმენტის ძირითადი კომპონენტები
  - ზოგადი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ
  - ამოცანები და პრიორიტეტები
  - ძირითადი ღონისძიებების მიმოხილვა
  - სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების ეტაპი და შემდგომი ნაბიჯები
  - კავშირი სხვა შესაბამის გეგმებსა და პროგრამებთან
- ▶ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების ფონური მდგომარეობის აღწერა
- ▶ გარემოსთან/ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული და სხვა შესაბამისი სტრატეგიებისა და პოლიტიკის მიზნების მიმოხილვა
- ▶ მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის მახასიათებლები (შენიშვნა: ქვემოთ მოყვანილი ცხრილი უნდა დაზუსტდეს სგშ-ს დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა და სგშ კონცენტრირებული იყოს სათანადო სფეროებსა და საკითხებზე. არ არის საჭირო გარემოს ყველა კომპონენტისა და ასპექტის დეტალური მიმოხილვა):
  - კლიმატი და კლიმატის ცვლილება
  - ატმოსფერული ჰაერი
  - გეოლოგია, მიწა და ნიადაგი (მიწათსარგებლობის, ნიადაგის დეგრადაციისა და დაბინძურების ჩათვლით)
  - წყალი (წყლის რესურსების, წყლის ხარისხის, დაბინძურების ძირითადი წყაროების, წყლის განაწილებისა და მოხმარების მიმოხილვა)
  - ნარჩენების და ჩამდინარე წყლების მართვა
  - ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება/დაცული ტერიტორიები
  - კულტურული მემკვიდრეობა
  - სოციალური ასპექტები (მოსახლეობა, ეკონომიკური მდგომარეობა)
  - ჯანდაცვა
- ▶ სგშ-ში განსახილველი პრიორიტეტული საკითხების წინასწარი იდენტიფიკაცია
  - სკოპინგის მატრიცა
  - განსახილველი ალტერნატივები
- ▶ შემდგომი ნაბიჯები
- ▶ დანართები
  - სკოპინგის კონსულტაციების მოკლე შინაარსი
  - გამოყენებული მასალების ჩამონათვალი

დანართი 3: სგშ-ს ანგარიშის შესაძლო სტრუქტურა

ზოგადად, სგშ-ს ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას, თუმცა, სკოპინგის ეტაპზე შეიძლება გამოიკვეთოს დამატებითი მოთხოვნები, ამიტომ ჩამოთვლილი პუნქტები არ უნდა ჩაითვალოს სავალდებულოდ, ეს არის რეკომენდაცია სგშ-ს ანგარიშის შესაძლო შინაარსის თაობაზე:

- არატექნიკური რეზიუმე
- სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლები, ამოცანები, ალტერნატივებითუ განხილულია სტრატეგიულ დოკუმენტში) და კავშირი სხვა გეგმებსა და პროგრამებთან.
- წარმოდგენილი გეგმის/პროგრამის შეფასებასთან კავშირში მყოფი ადრე განხორციელებული სგშ-ს პროცესის შედეგები, შეფასების ფარგლები (სკოპინგისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე) და განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდა ამ საკითხების ასახვა სგშ-ს ანგარიშში.
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფონური მდგომარეობა:
    - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობა და მოვლენების განვითარება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება („ნულოვანი სცენარი“);
    - იმ ტერიტორიის გარემოსდაცვითი მახასიათებლები, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა;
    - გარემოს/ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გამომდინარე სტრატეგიული დოკუმენტიდან, სტრატეგიული დოკუმენტის კავშირი დაცულ ტერიტორიებთან ან სენსიტიურ უბნებთან.
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე განსაზღვრული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები, რომლებიც კავშირშია სტრატეგიულ დოკუმენტთან და მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოხდა აღნიშნული მიზნებისა და გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება მისი მომზადების დროს;
- სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ფლორაზე, ფაუნაზე, ნიადაგზე, წყალზე, ჰაერზე, კლიმატურ ფაქტორებზე, მატერიალურ ფასეულობებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ლანდშაფტზე და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებაზე (მეორადი, კუმულაციური, სინერგიული, მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი, მუდმივი და დროებითი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების ჩათვლით);
- ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად, შესამცირებლად და მაქსიმალურად აღმოსაფხვრელად, მათ შორის ის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიულ დოკუმენტში;
- სტრატეგიული დოკუმენტის ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევის კონკრეტული მიზეზების მიმოხილვა;
- სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა;
- აღწერა იმისა, თუ როგორ ჩატარდა შეფასება, რა სირთულეები (როგორიცაა ტე-

ქნიკური პრობლემები, ან ტექნოლოგიების არარსებობა) შეიქმნა საჭირო ინფორმაციის მოგროვების პროცესში; რა პრობლემები წამოიჭრა ინფორმაციისა და მონაცემების ნაკლებობის თვალსაზრისით და როგორ მოგვარდა ეს პრობლემები შეფასების პროცესში;

- დასკვნა – იმ ძირითადი რეკომენდაციების შეჯამება, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების დროს.

- დანართები:
  - დანართი I: სგშ-ს პროცესში სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ გაკეთებული რეკომენდაციების მიმოხილვა და ახსნა იმისა, ინტეგრირებულ იქნა თუ არა ეს რეკომენდაციები სტრატეგიულ დოკუმენტში და როგორ.

დანართი 4: სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიასა და სგშ-ს ანგარიშზე ჩატარებული კონსულტაციების დროს დაინტერესებული მხარეების მხრიდან შემოსული მოსაზრებებისა და კომენტარების ფორმა

კომენტარის No.	კომენტარი	სგშ-ს ჯგუფის ან დამგეგმავი ორგანოს მოსაზრება
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		
1		
2		
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
3		
4		
საზოგადოების წარმომადგენლები (არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება, ფართო საზოგადოება)		
5		
6		
სხვა დაინტერესებული მხარეები (კერძო ორგანიზაციები, სამეცნიერო ინსტიტუტები (თუ ამის საჭიროება არსებობს), შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები, თუ აღნიშნული ორგანოები დამგეგმავ ორგანოს არ წარმოადგენენ, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტები, შესაბამისი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ერთეულები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უცხო ქვეყნების შესაბამისი წარმომადგენლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
7		
8		

დანართი 5: სგშ-ს ანგარიშის განხილვის დროს გასათვალისწინებელი კრიტერიუმები

სგშ-ს ანგარიშის განხილვის დროს რეკომენდებულია ხარისხის შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება[38]:

- ამოცანები და შინაარსი
  - სტრატეგიული დოკუმენტის დანიშნულება და ამოცანები მკაფიოდ არის ფორმულირებული.
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული და ნაჩვენებია მათი კავშირი სგშ-ში განხილულ საკვანძო საკითხებთან.
  - (სგშ-ში ფორმულირებულ) გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მიზნებსა და სტრატეგიული დოკუმენტის მიზნებს შორის არსებული განსხვავებები და თანხვედრა იდენტიფიცირებულია და აღწერილი.
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები გათვალისწინებულია სტრატეგიული დოკუმენტის ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრის პროცესში.
- შეფასების ფარგლები
  - სგშ-ს ანგარიშში სათანადოდ არის ასახული სკოპინგის დასკვნა.
  - სგშ-ში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ არის ფორმულირებული.
  - სგშ კონცენტრირებულია საკვანძო საკითხებზე.
  - დასაბუთებულია, თუ რატომ მოხდა გარკვეული საკითხების ამოღება შემდგომი განხილვის პროცესიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
  - კონსულტაციები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ჩატარებულია, მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია შეფასების ფარგლების დადგენისას.
  - გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ძირითადი პრობლემები იდენტიფიცირებული და აღწერილია.
  - შეფასების ტერიტორიული მასშტაბები აღწერილია.
  - მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები განხილულია.
- ფონური კვლევა
  - აღწერილია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების არსებული მდგომარეობა და იდენტიფიცირებულია ტენდენციების ძირითადი მამოძრავებელი ძალები.
  - აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელობის შემთხვევაში გარემოსა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების მოსალოდნელი განვითარება.
  - აღწერილია იმ ტერიტორიების გარემოსდაცვითი მახასიათებლები, რომლებიც ექცევიან მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ, მათ შორის იმ ტერიტორიების მახასიათებლებიც, რომლებიც სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული ტერიტორიის ფიზიკურ საზღვრებს მიღმა მდებარეობენ.

---

38 ჩამონათვალი ემყარება „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს“, პრემიერ მინისტრის მოადგილის ოფისი, გაერთიანებული სამეფო, 2005 წ.

- დადგენილია ინფორმაციისა და მონაცემების ნაკლებობა.

▶ მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შეფასება

- აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და შედარებულია სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელობის შემთხვევაში მათ შესაძლო მდგომარეობასთან.
- განხილულია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედებები და მითითებულია მათი ხანგრძლივობა (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი).
- იდენტიფიცირებულია მოსალოდნელი მეორადი, კუმულაციური და სინერგიული ზემოქმედებები, სადაც შესაძლებელია.
- განხილულია ურთიერთკავშირი ზემოქმედებებს შორის (სადაც შესაძლებელია).
- ზემოქმედებების პროგნოზირებისა და შეფასებისთვის გამოყენებულია სათანადო სტანდარტები, რეგულაციები და ზღვრული სიდიდეები.
- აღწერილია ზემოქმედებების შეფასების მეთოდები.
- იდენტიფიცირებულია და შედარებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი ზემოქმედებები (დადებითი და უარყოფითი).
- მოყვანილია ალტერნატივების შერჩევის ან უარყოფის მიზეზები.

▶ ალტერნატივები

- საკვანძო საკითხებისთვის განხილულია რეალისტური ალტერნატივები, მათი შერჩევის მიზეზები დოკუმენტურად არის დასაბუთებული.
- ალტერნატივები შეიცავს „არ განხორციელების“ (ნულოვან) სცენარსაც.
- იდენტიფიცირებულია და შედარებულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი ზემოქმედებები (დადებითი და უარყოფითი).
- მოყვანილია ალტერნატივების შერჩევის ან უარყოფის მიზეზები.

▶ შერბილების ღონისძიებები

- მითითებულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და კომპენსირების (და/ან მოსალოდნელი დადებითი ზემოქმედების ხელშემწყობი) ღონისძიებები.
- იდენტიფიცირებულია კონკრეტული (გეგმის/პროგრამის განხორციელების შემადგენელი) პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები.

▶ მონიტორინგი

- მონიტორინგის გათვალისწინებული ღონისძიებები მკაფიოდ არის ფორმულირებული, განხორციელებადია და დაკავშირებულია სგშ-ში მოცემულ ინდიკატორებთან და ამოცანებთან
- გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონიტორინგი კავშირშია სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგის ერთიან სქემასთან.
- მონიტორინგთან და მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებაზე რეაგირების ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები გა-

ნსაზღვრულია.

- სგშ-ს ანგარიში
  - შინაარსი და ფორმა მკაფიო და ლაკონურია.
  - დაწერილია მარტივი, გასაგები ენით, არ იყენებს ან განმარტავს ტექნიკურ ტერმინოლოგიას.
  - იყენებს რუკებსა და სხვა თვალსაჩინო მასალას საჭიროებისამებრ.
  - განმარტავს გამოყენებულ მეთოდოლოგიას.
  - განმარტავს, ვისთან და მეთოდებით ჩატარდა კონსულტაციები.
  - მიუთითებს, როგორ იქნა გათვალისწინებული საზოგადოების მონაწილეობისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული მოსაზრებები სგშ-ს ანგარიშში და/ან სტრატეგიულ დოკუმენტში.
  - მიმოიხილავს სგშ-ს რეკომენდაციებს სტრატეგიული დოკუმენტისთვის და აღნიშნავს, თუ როგორ იქნა ისინი გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში.
  - მიუთითებს ინფორმაციის წყაროებს, მათ შორის ექსპერტების შეფასებებსა და საკამათო საკითხებს.
  - შეიცავს არატექნიკურ რეზიუმეს, რომელშიც აღწერილია სგშ-ს მიდგომა, გეგმის ამოცანები, განხილული ვარიანტები და სგშ-ს შედეგად გეგმაში შეტანილი ცვლილებები.

დანართი 6: სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების მოკლე მიმდინარე (წლიური) ანგარიშის მაგალითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობები	სგშ-ს (რეკომენდაცია) რეკომენდაციები	სგშ-ს რეკომენდაციების შესრულება	კომენტარი
საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის დაწყება	უპირატესობა უნდა მიენიჭოს დერეფან A-ს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად	საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობისთვის შეირჩა დერეფანი A, თუმცა მოხდა გარკვეული ცვლილები, რომლებიც შესწავლილ იქნა გზშ-ში. გზშ-მ აჩვენა, რომ დერეფნის ცვლილება არ გამოიწვევს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას	
სოფლად მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხარდამჭერი სქემის ამოქმედება	უპირატესობა უნდა მიენიჭოს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს	ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება წარმოადგენდა შეფასების სქემის კრიტერიუმს - იმ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებას, ენიჭებოდა უფრო მაღალი ქულა იმ პროექტებთან შედარებით, რომლებიც ენერგიის ტრადიციულ წყაროებს იყენებდნენ	

დანართი 7: კონსულტანტებისათვის ტექნიკური დავალების შედგენის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

- სგშ-ს მიზანი და დანიშნულება:
  - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ სგშ-თან დაკავშირებით განსაზღვრული სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა და შესრულება;
  - რეკომენდაციების შემუშავება სტრატეგიულ დოკუმენტში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების ინტეგრირებისათვის;
  - სგშ-ში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- სგშ-ს ექსპერტების მიერ შესასრულებელი ძირითადი ამოცანები:
  - გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ფონური მდგომარეობის ანალიზი და სტრატეგიული დოკუმენტის ანალიტიკური ნაწილის შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად არის მასში გათვალისწინებული გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტენდენციები და პრობლემები;
  - სკოპინგის ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, რაც მოიცავს:
    - » გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იმ საკვანძო საკითხების გამოვლენას, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სგშ-ში, ასევე იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებიც მოცემული სტრატეგიული დოკუმენტისთვის მნიშვნელოვანი არ არის და შესაბამისად, მათი ანალიზი აუცილებლობას არ წარმოადგენს;
    - » იმ შესაძლო ალტერნატივებისა ან ვარიანტების მონახაზის გაკეთებას, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს სგშ-ში;
    - » მოსალოდნელი ზემოქმედებების ტერიტორიული განზომილების დადგენას;
    - » ჩასატარებელი ანალიზისა და კვლევების და შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების მითითებას;
    - » იმ დაინტერესებული მხარეების დადგენას, რომლებიც ჩართულ უნდა იქნენ შემდგომ ეტაპებზე (მათ შორის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სტრუქტურები და საზოგადოება).
  - სგშ-ს ანგარიშის სამუშაო და საბოლოო ვერსიების მომზადება, შესაბამისი კვლევების ჩატარებით;
  - შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, სგშ-ს პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა და მათ მიერ მოწოდებული კომენტარებისა და მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინების უზრუნველყოფა;
  - თანამშრომლობა და კოორდინაცია დამგეგმავ ჯგუფთან მთელი პროცესის განმავლობაში;
- მიდგომა:
  - სგშ-ს პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების განუყოფელი ნაწილი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სგშ-ს შედეგების სათანადოდ ასახვა;

- სგშ-ს მეთოდოლოგია უნდა დაზუსტდეს სკოპინგის ეტაპზე შემკვეთის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და/ან ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით.

▶ სგშ-ს შესრულების გრაფიკი:

- სგშ-ს პროცესის გრაფიკი შესაბამისობაში უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესთ
-

გამოყენებული ლიტერატურა

1. *სახელმწიფო უწყებების თვალსაზრისი (მ. მუსილი და სხვ., EIA-IPPC-SEA ბიულეტენი, 2010, ჩეხურ ენაზე).*

2. *საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, 2017 წ.*

3. *ევროპის კომისია (1996), გზშ/სგშ-ს ხარჯთსარგებლიანობის კვლევა, (http://ec.europa.eu/environment/eia/eia-studies-and-reports/eiacosts-benefit-en.htm)*

4. *ევროპის კომისია, 2003 წ.: გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ 2001/42/EC დირექტივის განხორციელება - „ევროკომისიის სგშ-ს სახელმძღვანელო“.*

5. *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.*

6. *„სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის პრაქტიკული სახელმძღვანელო“, პრემიერ მინისტრის მოადგილის ოფისი, გაერთიანებული სამეფო, 2005 წ.*

7. *რ. თერიველი და ფ. უოლში (2005 წ.), „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა გაერთიანებულ სამეფოში: ერთი წლის შემდეგ“, გამოქვეყნებულია ჟურნალში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმოხილვა”.*

8. *სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის განხორციელების ხელშეწყობის სახელმძღვანელო, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), 2012 წ., https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/documents/2011/eia/ece.mp.eia.17.e.pdf*

9. *2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივა 2001/42/EC „გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (სგშ-ს დირექტივა).*

10. *ესპოს კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი (სგშ-ს ოქმი), კიევი, 2003 წ.*

11. *საქართველის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, (http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy)*